# აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№3 (24.883) შაბათი, 15 - 17 იანვარი, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია წვიმა, ცვალებადი მიმართულების ძლიერი ქარი, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-12, შიდამთიან რაიონებში - 3-7, მაღალ მთაში - 0-6 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 6 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა.

## კრიალოსა N იუსი

თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ევროპულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აშშ-რუსეთისა და ნატო-რუსეთის მოლაპარაკებების პროცესზე ინფორმაცია მოისმინეს. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი და საქართველოს ნატოში წევრობის საკითხი არცერთი ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოს მხრიდან არ გადაიხედება. ეს არის ის მკაფიო გზავნილი, რომელიც ყველა ამ შეხვედრაზე გაჟღერდა. იმედი გვაქვს, რომ ეს საჯარო თუ დახურულ კარს მიღმა გაკეთებული განცხადებები ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, ძალიან მალე ქმედით ნაბიჯებად გადაიქცევა, რაც საბოლოო ჯამში, საქართველოს ნატოს სრულუფლებიან წევრობამდე მიიყვანს“, - განაცხადა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ.

* * *

ორბელიანების სასახლის ეზოში, დროშის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო დროშის ეტალონი აღიმართა. დროშის აღმართვის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა და მრჩევლებმა, სახელმწიფო ჰიმნი კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ორკესტრმა შეასრულა. ორბელიანების სასახლეზე გადმოიფინა სახელმწიფო დროშები.

* * *

ხელი მოვაწერე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც ითვალისწინებს სამსახურის გაუქმებასა და მის ნაცვლად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ამგვარი სტრუქტურული ცვლილებების მიმართ არსებობდა და არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ შეიცავს თავისთავად კატეგორიული ხასიათის სამართლებრივ წინააღმდეგობას, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, სამსახურის გაუქმება და ახალი სტრუქტურების დაარსება თავისთავად არ იძლევა საფუძველს პრეზიდენტის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოტივირებული შენიშვნებისათვის.

* * *

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, ქვეყნის მასშტაბით საავტომობილო გადაადგილებაზე დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები. „საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 24 საათის განმავლობაში მოხდება თოვლმწმენდი მექანიზმებით გზის საფარის დასუფთავება, ტექნიკური მარილის მოყრა, რითაც მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება“, - აღნიშნულია განცხადებაში.

# მთავრობის თავმჯდომარე - მაღალმთიან აჭარაში


ოთარ ცინარიძე 599 85 21 14


*აჭარის მთიანეთში თოვს. მოსალოდნელ დიდთოვლობასთან დაკავშირებით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ხელმძღვანელობით, ხულოსა და შუახევში მუნიციპალური სამსახურებისა და გზების დეპარტამენტის მონაწილეობით, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბების სხდომა გაიმართა*



აღინიშნა, რომ მობილიზებულია ადამიანური რესურსი და საავტომობილო გზების ტექნიკა, შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბები, მოქმედებს ცხელი ხაზი.

- ზამთარი წინაა, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ. - ჩვენი ვალია, ძალების მაქსიმალური მობილიზებით, არსებული ტექნიკის მიზნობრივად გამოყენებით, სტიქიის შემოტევას გავუმკლავდეთ.

შტაბების სხდომებზე მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესახებ, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების ინფორმაციები მოისმინეს. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე და აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე.



იმავე დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ხულოსა და შუახევში მიმდინარე საგანმანათლებლო - ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ განახლებაში, თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა.

150 მოსწავლეზე გათვლილი შენობა სრულად იქნება ადაპტირებული. ამ ეტაპზე შენობის შიდა სამუშაოები, ფასადისა და ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

შუახევში მოსწავლე-ახალგაზრდობის და სახელოვნებო სკოლის მშენებლობა სრულდება. პროექტის ფარგლებში აშენდა თანამედროვე სახელოვნებო ცენტრი. შენობაში მოეწყობა სააქტო დარბაზი, სახელოვნებო სკოლა, მოსწავლე ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი სივრცე.

- ჩვენი მიზანია, ყველა მუნიციპალიტეტის ცენტრებსა და სოფლებში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სასწავლო კერები და საგანმანათლებლო ცენტრები გვქონდეს, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ.


## შესაძლებლობების და გამოწვევების წელი - 2022 3

## სოციალური პროგრამები უკვე გაზრდილი ბიუჯეტით გრძელდება 4

## «დროა, კულტურის სფეროში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურების გაზრდაზეც ვიფიქროთ» 6

## «ომიკრონი» - ახალი ვირუსის წინამორბედი თუ პანდემიის დასასრულის მაცნე? 7



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ქობულეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა ეწყობა

***ქობულეთში, ე.წ. ჩოლოქის დასახლებაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ქობულეთის მერთან ლევან ზოიძესთან ერთად გაეცნო***



პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, შეიცვალა სახურავები, ეწყობა მინისპორტული მოედანი და საბავშვო ატრაქციონები. განხორციელდა გაზიფიცირების პროექტი და მოსახლეობა ბუნებრივი აირით უახლოეს მომავალში იქნება უზრუნველყოფილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ასევე აქტიურ ფაზაშია ქობულეთის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობაც. ქობულეთი ზაფხულის ტურისტულ სეზონს განახლებული ბულვარით შეხვდება. პროექტის მიმდინარეობას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ქობულეთის მერთან ლევან ზოიძესთან, ქობულეთის მაჟორიტარ დეპუტატთან ზაალ მიქელაძესთან და ქობულეთის საკრებულოს წევრებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

საჩინოში ახალი საბავშვო ბაღი მოეწყო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 3-ჯგუფიანი იქნება და 105 აღსაზრდელზეა გათვლილი. პროექტის მიხედვით, აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობა, მოწესრიგდა შიდა და გარე ინფრასტრუქტურა.

ახალ ბაღში საალმზრდელო პროცესი სექტემბერში დაიწყება.

სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო. მიმდინარე წლის დასაწყისში დასრულდა.

ახლახან კიდევ ერთი ახალი, გამწვანებული, კეთილმოწყობილი კუთხე გაჩნდა რუსთაველის ქუჩის N215-ში. ახალი სკვერი მოეწყო სოფელ ბუკნარში.

**ანკა ჩხიკვაძე**

# ჯანდაცვის მინისტრი შეხვედრებს აგრძელებს

***სოფლებში COVID 19-ის ვაქცინაციის პროცესის კიდევ უფრო გააქტიურების მიზნით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეხვედრები განაახლა***



მინისტრი ნინო ნიჟარაძე და მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძე, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები, სოფლის ექიმები, თემის სამედიცინო პუნქტის ექთნები, სასწრაფოსა და რაიონული საავადმყოფოს ხელმძღვანელები, ადგილობრივი სოციალური სააგენტოს უფროსები.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტებში არსებული ეპიდემიური ვითარება და ვაქცინაციის პროცესი. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ პროგრამულ სიახლეებსაც.

„შეხვედრების ძირითადი მიზანია ეპიდვითარება და ვაქცინაციის მიმდინარეობა. აჭარაში სამიზნე კონტიგენტის 85%-მდე უკვე ვაქცინირებულია. კერძოდ, ხულოსა და შუახევში მაჩვენებელი 80%-ზე მეტია, თუმცა დაისახა დამატებითი რეკომენდაციები სამიზნე მაჩვენებლის სრულად დაფარვისათვის. ასევე, სამედიცინო პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია სამინისტროს 2022 წლის პროგრამული სიახლეების შესახებ და ეთხოვათ მხარდაჭერა აღნიშნული სიახლეების მოსახლეობისთვის გასაცნობად", - განაცხადა ნინო ნიჟარაძემ.

„კოვიდვაქცინაცია გრძელდება შორეულ სოფლებშიც, კარდაკარის პრინციპით ყველა ოჯახში შევდივართ ვაქცინის ჩასატარებლად. პროცესში აქტიურად არიან ჩართულები უბნის ექიმები, ფიზიკური პირები, ექთნები. ვიმედოვნებთ, რომ აქტიურობა კვლავ გაგრძელდება და მალე მივაღწევთ სასურველ მიზანს," - აღნიშნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის შუახევის განყოფილების უფროსმა ფიქრია ჯუმუშაძემ.

მორიგი შეხვედრა ნინო ნიჟარაძემ მოადგილესთან - ზურაბ თენიეშვილთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტში გამართა, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, სოფლის ექიმები და თემის სამედიცინო პუნქტის მედდები, ასევე მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები, სასწრაფოსა და რაიონული საავადმყოფოს ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

„ქედის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გავმართეთ სამედიცინო პერსონალთან, სადაც განვიხილეთ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, ასევე სამინისტროს 2022 წლის პროგრამები და ამ კუთხით არსებული სიახლეები. შეხვედრის მონაწილეებს ეთხოვათ ვაქცინაციის პროცესის კიდევ უფრო გააქტიურება და სამიზნე კონტინგენტის მაქსიმალურად მოცვა", - აღნიშნა მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილმა.

დღემდე აჭარაში ჩატარებულია 302 298-ზე მეტი ვაქცინაცია, სრულად ვაქცინირებულია სამიზნე კონტინგენტის 85.1%. 2021 წლის ოქტომბრიდან დღემდე სოფლის ექიმებმა ჩაატარეს 12 687 აცრა. პროცესი გრძელდება, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება აჭარის ყველა სოფლის ამბულატორიაშია შესაძლებელი.

**ანკა ჩხიკვაძე**

# დეპარტამენტის უფროსმა თანამშრომლებთან შეხვედრა გამართა

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**



***აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსმა ზაზა შავაძემ ქედის, შუახევისა და ხულოს განყოფილებების თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. განიხილეს ამინდის მოსალოდნელი გაუარესების საკითხი.***

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ ეტაპზე თემებთან და სოფლებთან მისასვლელი გზები გახსნილია, სამივე მუნიციპალიტეტის თემებში თოვლის საწმენდად მობილიზებულია შესაბამისი 60 ერთეული ტექნიკა და ადამიანური რესურსი.

# ონლაინსწავლებაზე განაცხადის შევსება ან რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია ყოველ ხუთშაბათს

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***სკოლებში ახალი სემესტრი 17 იანვარს დაიწყება. სწავლის დაწყებამდე მშობლებს საშუალება აქვთ, განაცხადი შეიტანონ ონლაინსწავლებაზე გადასვლის თაობაზე ან გაუქმებაზე***




ამ ეტაპზე ონლაინსწავლებაზე გადასვლის განაცხადი 5156-მა მშობელმა შეიტანა, 6277-მა კი ონლაინსწავლების რეგისტრაცია გააუქმა.

საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, დისტანციური სწავლების მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებგვერდზე - https://online.emis.ge.

ონლაინსწავლებაზე განაცხადის შევსება ან რეგისტრაციის გაუქმება შესაძლებელია ყოველ ხუთშაბათს 00:00 - 18:00 საათის შუალედში.

უწყების განმარტებით, ვინც შემოდგომის სემესტრში აირჩია დისტანციური სწავლების ფორმატი და არ გაუუქმებია, მათთვის ხელახალი რეგისტრაცია საჭირო არ არის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების მშობლებს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრშიც აქვთ შესაძლებლობა, გააკეთონ არჩევანი დასწრებითი და დისტანციური სწავლების ფორმას შორის.

სასწავლო პროცესი 17 იანვარს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით, საკლასო ოთახებში გაგრძელდება, მაგრამ სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ ინფიცირების გამოვლენის შემთხვევაში კვლავ წერტილოვანი შეზღუდვები დაწესდეს.

გასულ სემესტრში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების გამოვლენისას სწავლის დისტანციურ რეჟიმზე სკოლები ან ცალკეული კლასები გადადიოდა.

# ვეტერანს ახალი წელი მიულოცეს

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი შოთა ყიფიანი და სამმართველოს თანამშრომლები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, 101 წლის თამარა კამენცევას ესტუმრნენ, ახალი 2022 წელი მიულოცეს და საახალწლო ტკბილეული მიუტანეს***

თამარა კამენცევა 1920 წლის 1 მაისს რუსეთში დაიბადა. ფრონტზე ომის დაწყებისთანავე - 1941 წელს წავიდა. მომავალი მეუღლე ბორის ჩულიჩი, ომიდან დაბრუნებულმა გაიცნო, რომელზეც 1951 წელს იქორწინა, საქართველოსთან კი ქართველმა სიძემ (ქალიშვილის მეუღლემ) დააკავშირა და 1975 წლიდან ხელვაჩაურში, სოფელ სატეხიაში ცხოვრობს. ის სკოლაში 40 წელი ასწავლიდა ქიმია-ბიოლოგიას და დამსახურებული პედაგოგი გახლავთ.

მიმდინარე წლის 1 მაისს ქალბატონი თამარა 102 წლის გახდება.



# შესაძლებლობების და გამოწვევების წელი – 2022

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***2022 წელი ჩვენი ქვეყნისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით - გაირკვევა არა მარტო მმართველი პარტიის და ოპოზიციის ურთიერთთანამშრომლობის დეტალები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, არამედ ისეთი ძირეული საკითხები, როგორებიცაა ნატოსთან დაახლოება, ანუ მაპ-ის მინიჭება, აშშ-თან სტრატეგიული მოკავშირის ხელშეკრულების გაფორმება და ცხადია, რუსეთის საბოლოო გეგმები საქართველოსთან მიმართებაში***



როგორ გადაწყვეტს ქვეყნის ხელისუფლება ამ საკითხებს, ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან, ანუ გაერთიანებას ნატოსა და ევროკავშირში. ჩვენ, ამჯერად ძირითადად ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე ვისაუბრებთ, რადგან სწორედ სტაბილური შიდა პოლიტიკური გარემო განაპირობებს ქვეყნის განვითარებას და წინსვლას, არასტაბილურობა და მით უმეტეს სამოქალაქო ომი ქვეყნას არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით აზარალებს, არამედ სუვერენიტეტსაც უზღუდავს, ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ყაზახეთი. ფაქტობრივად, რუსეთის ჯარმა ამ ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა და არსებული ხელისუფლება მასზე დამოკიდებული გახადა. აკი თქვა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, რომ ვინც იწვევს რუსეთის ჯარს ქვეყნაში, უნდა იცოდეს, რომ ის დიდხანს დარჩება და ამავე დროს დააშანტაჟებს ადგილობრივ ხელისუფლებას... ეს მაგალითი უნდა იყოს სხვადასხვა ქვეყნისთვის. კიდევ კარგი, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ საშიშროებას აცნობიერებენ, როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. ყოველ შემთხვევაში, მათი თქმით, ყაზახური დრამა ჩვენთან არ განმეორდება, რადგან მსგავსი რამ ჩვენმა ქვეყანამ 90-იან წლებში გაიარა და ჩვენი პოლიტიკური სპექტრი სახელმწიფოებრივად აზროვნებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ კრემლი კვლავ შეეცდება საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბოს და მერე „მომრიგებლის" სტატუსით მოგვევლინოს, რომ ქვეყანა თავისი უპირობო გავლენის ქვეშ მოაქციოს. ამიტომ, როგორც ვთქვი, ქვეყნის შიდა სტაბილურობა ზემნიშვნელოვანია. ამ მხრივ დასავლური პოლიტიკური ელიტა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მათთვის ჩვენი ქვეყანა რეგიონში (მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს იმატა შენიშვნებმა ხელისუფლების მიმართ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით) წარმატებულის, სტაბილურობის იმიჯით სარგებლობს, ამიტომ მათი რჩევები და დროდადრო კრიტიკა სწორედ საქართველოს კეთილდღეობაზეა გათვლილი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გზა ევროკავშირისა და ნატოსკენ წარმატებული ქვეყნის ხვედრია და თუ ამ გზით ვივლით, არც პროგრესული მსოფლიოს მხარდაჭერა და თანადგომა მოგვაკლდება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მსოფლიო თანამეგობრობა კანონის უზენაესობის დაცვასა და დემოკრატიული რეფორმების გატარებაში მხოლოდ დაპირებებს დიდხანს არ შეეგუება. ისინი გამადიდებელი მინით აკვირდებიან თუნდაც ხაზარაძე-ჯაფარიძის სასამართლო პროცესს და სხვადასხვა შიდა საკითხის გადაწყვეტას. თუ მათ ეჭვი შეეპარათ ზემოაღნიშნული პროცესის კანონზომიერებაში, მაშინ დასავლეთისგან იზოლირება არ აგვცდება, რაც რუსეთის სტრატეგიული ამოცანაა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ, ანუ შეესაბამება თუ არა ჩვენი დემოკრატიის ხარისხი დასავლურს? საერთოდ, დემოკრატიის ხარისხის აბსოლუტური საზომი არ არსებობს, ის თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალურია, თუ დავეყრდნობით ჩვენი დასავლელი მეგობრების და მოკავშირეების აზრს, ქვეყნის დემოკრატიულობის ინდექსი გარკვეულწილად, დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა ქვეყანაში არის სფეროები, სადაც იკვეთება კითხვის ნიშნები. ექსპერტთა თქმით, ეს სფეროებია სასამართლო ხელისუფლება, გაუმჭვირვალობა თვითმმართველობებში, ცესკოს დაკომპლექტების წესი და შერჩევითი სამართლი სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში. საქართველოში ვერ მოხერხდა სტაბილური, გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული პარტიული სისტემის ჩამოყალიბება. ვგულისხმობ იმას, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს მმართველი პოლიტიკური ძალების ნამოქმედარი ერთგვარად, პოლიტიკურ აქციებს ჰგავდა, კერძოდ, თითოეული მათგანი მოდიოდა ხელისუფლებაში ხალხის უდიდესი მხარდაჭერის პირობებში და საბოლოო ჯამში, მოღვაწეობას ასრულებდა ფიასკოთი. ფაქტია, რომ მმართველი პარტიები არსებობას წყვეტდნენ მოკლე პერიოდში, როგორც მაგალითად, „მრგვალი მაგიდა" და „მოქკავშირი". „ნაცმოძრაობა" არ გამქრალა, სამაგიეროდ, ძალაუფლება დაკარგა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ" შეუძლებელი შეძლო: მესამეჯერ დარჩა ხელისუფლებაში, ოპოზიციის აზრით, ძირითადად, გაყალბების ხარჯზე, რასაც არ ეთანხმებიან მმართველი პარტიის წევრები და მათი მომხრეები. რა იქნება 2024 წლის არჩევნებში, ამას მომავალი დაგვანახებს...

ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს და ამ მიმართულებით, როგორც აანონსებს, ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, თუმცა პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი არჩევნები 2024 წელს გაიმართება და ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში სასიკეთო საქმეები გაკეთდება, თუ რამე ექსტრაორდინარული არ მოხდა (მასობრივი საპროტესტო აქციები, შიდა დაპირისპირება მმართველ პარტიაში). საპარლამენტო არჩევნებამდე სამი წელი დარჩა და ძნელია პროგნოზი, თუმცა გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება: ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია, რა კონდიციაში იქნებიან მმართველი პარტია და ოპოზიცია, როგორი იქნება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.

აკი აღვნიშნეთ, რომ ეს წელი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება. უპირველეს ყოვლისა, ამ კუთხით გადამწყვეტი როლი ხელისუფლებას ეკისრება, უმნიშვნელოვანესია ოპოზიციის როლიც. ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით მმართველმა პარტიამ უნდა შეძლოს გარკვეულწილად, ოპოზიციასთან საქმიანი ატმოსფეროს შექმნა, რაღაც საკითხებში დათმობაზე წასვლა. დათმობა არ ნიშნავს სისუსტეს, აუცილებელია, თუნდაც ცესკოს ევროპული სტანდარტებით დაკომპლექტება, სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობისთვის ხელის შეწყობა და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება. თავის მხრივ ოპოზიციამაც უნდა ამოიგდოს თავიდან რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნა.

რაც შეეხება მესამე პრეზიდენტს, ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ თუ სააკაშვილის საქმეს ევროპელი მოსამართლეები განიხილავენ, ამით მმართველი პარტია უფრო აიმაღლებს რეიტინგს დასავლეთის თვალში. რა და როგორ იქნება, ამას დრო დაგვანახებს, თუმცა იმის თქმა დანამდვილებით შეიძლება, რომ თუ 2022 წელს ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემო იქნება და თანაც ზემოაღნიშნული საკითხები (ცესკოს ევროპული, დემოკრატიული სტანდარტებით დაკომპლექტება, სასამართლო სისტემის თავისუფლება და ა.შ.) ქვეყნის საკეთილდღეოდ გადაწყდება, მაშინ დასავლეთი უფრო შეძლებს ჩვენს დახმარებას და ამავე დროს, რუსეთსაც გაუჭირდება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. აქ არ იგულისხმება ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

ჯერჯერობით ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემოა, ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ქართველი პოლიტიკოსები ძველ ახალ წლამდე არ აქტიურობენ, თუმცა არც მანამდე იყო ოპოზიცია აქტიური. ეს ბოლო ორი თვეა, ოპოზიცია დამბლადაცემულია. ყოველ შემთხვევაში ამას ადასტურებს მათი ქმედებები. ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ ოპოზიცია დაშორდა ხალხს. ისინი სატელევიზიო ოპოზიციის ფარგლებს ვერ გასცდნენ. ის კი არა, თვით შალვა ნათელაშვილმაც არ გამორიცხა პარლამენტში შესვლა, რადგან მთელმა ოპოზიციამ მას ბოიკოტში მხარი არ აუბა, რაც ცხადია, ოპოზიციის ამომრჩეველს აბნევს. მოკლედ, ოპოზიცია არათანმიმდევრულია. სამაგიეროდ, მონოლითურია მმართველი პარტია, ანუ ოპოზიციამ მძლავრი საპროტესტო მუხტი ვერ გააღვივა მოსახლეობაში და გარკვეულწილად, დაიქსაქსა... თუმცა „ნაცმოძრაობა" აანონსებს, რომ გავა რეგიონებში და მოსახლეობას დარაზმავს საპროტესტო მუხტის ასამაღლებლად. ამ მხრივ ექსპერტები აცხადებენ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, რით დასრულდება ხაზარაძე-ჯაფარიძის სასამართლო პროცესი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ დასავლეთსაც ეჭვი შეეპარება სასამართლოს ობიექტურ განაჩენში, ეს გარკვეულწილად, ქვეყნის იმიჯსაც დააზარალებს და ამავე დროს, საპარლამენტო საქმიანობის ეფექტურობას ჩრდილს მიაყენებს, ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ თავად პარტია „ლელო საქართველოსთვის" წევრები, მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ჩვენთან სასამართლო სისტემა თავისუფალია და ხელისუფლება მის საქმიანობაში არ ერევა და კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

ჩვენ გამოწვევები ვახსენეთ. ცხადია, რომ ოკუპირებული ტერიტორიები და მცოცავი ოკუპაცია, არასტაბილური პოლიტიკური გარემო ქვეყნის უმთავრესი გამოწვევაა. ამ მხრივ ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეს ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება ეკონომიკური აღმავლობა. თუ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების ტემპი არ დაჩქარდა, ხელისუფლებას არ ექნება რესურსები, რომ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავება შეძლოს. მას გაუჭირდება საზოგადოების წინაშე ვალდებულებების შესრულება. ამიტომ ხელისუფლებამ მეტი უნდა გააკეთოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისთვის, უფრო უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკური დარგების განვითარებას. ცხადია, ეკონომიკურად ძლიერ და პოლიტიკურად სტაბილურ ქვეყანასთან ყველა მოინდომებს მეგობრობას და თანამშრომლობას, ხოლო თუ მუდმივად ეკონომიკურ კრიზისში ვიქნებით, მიმზიდველი ქვეყანა არავისთვის გავხდებით, თუ არ ჩავთვლით რუსეთს, რომელიც ახლაც ოცნებობს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირებაზე და ამით ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის მოსპობაზე.

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ 2022 წლის პოლიტიკური მოზაიკა ქვეყანაში ბევრწილად დამოკიდებული იქნება მოქმედი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, ანუ რამდენად საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, ამაზეა დამოკიდებული საზოგადოების რეაქციაც. თუ მთავრობა შეძლებს ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ გამოწვევებს, მაშინ მათი რეიტინგიც მოიმატებს და ქვეყანა პოლიტიკურ სტაბილურობას შეინარჩუნებს, რაც ყოველი ხელისუფლების მოვალეობაა.

> ***„ დემოკრატიის ხარისხის აბსოლუტური საზომი არ არსებობს, ის თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალურია, თუ დავეყრდნობით ჩვენი დასავლელი მეგობრების და მოკავშირეების აზრს, ქვეყნის დემოკრატიულობის ინდექსი გარკვეულწილად, დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა ქვეყანაში არის სფეროები, სადაც იკვეთება კითხვის ნიშნები. ექსპერტთა თქმით, ეს სფეროებია სასამართლო ხელისუფლება, გაუმჭვირვალობა თვითმმართველობებში, ცესკოს დაკომპლექტების წესი და შერჩევითი სამართლი სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში.***

## უცხოეთი

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მზადაა, მხარი დაუჭიროს უკრაინას ეკონომიკური სანქციებით, - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა იტალიურ გამოცემა „ლა რეპუბლიკასთან" საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, ალიანსი უკვე ეხმარება უკრაინას თავდაცვის ფუნდამენტური უფლებით. „ჩვენ - აშშ, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი ვეხმარებით კიევს შეიარაღებისა და მომზადების შეთავაზებით, თუმცა კიევი არ არის ნატოს მოკავშირე. დაცვის ვალდებულება არსებობს მხოლოდ წევრებისთვის", - აღნიშნა სტოლტენბერგმა.**

* * *

**შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაბლოკა პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განკარგულება მსხვილ კომპანიებში მომუშავე თანამშრომლების აუცილებელი ვაქცინაციის თაობაზე, თუმცა დათანხმდა ჯანდაცვის სფეროში მომუშავე გარკვეული კატეგორიის სავალდებულო აცრას. კერძოდ, „ინტერფაქსის" ინფორმაციით, დაბლოკილია აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, რომელიც საწარმოს, რომელსაც 100 და მეტი თანამშრომელი ჰყავს, ავალდებულებდა კოვიდ-19-ის წინააღმდეგ აეცრა დასაქმებულები ან ყოველკვირურად ჩაეტარებინა psr ტესტები. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შრომითი უფლებების დაცვის სამსახურს არ ჰქონდა უფლება, შემოეღო წესი, რომელიც 80 მლნ-ზე მეტ დასაქმებულს შეეხებოდა.**

* * *

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ ელოდება წერილობით პასუხს აშშ-ისა და ნატოსგან უსაფრთხოების გარანტიების შესახებ რუსეთის წინადადებებზე. მისი თქმით, პარტნიორებმა უკვე გაიგეს, რომ საჭიროა პასუხი გასცენ სწრაფად, კონკრეტულად და ქაღალდზე და რომ „რუსეთი მუდმივად არ მოიცდის". „თუ ჩვენი წინადადებები იქნება უარყოფილი, ჩვენ ამის შესახებ მოვახსენებთ პრეზიდენტს", - დასძინა ლავროვმა. უსაფრთხოების შესახებ კონსულტაციები ნატო-რუსეთს შორის ამ დღეებში ბრიუსელსა და ვენაში გაიმართა.**

* * *

**იაპონია ჩრდილოეთ კორეის მიერ ამოუცნობი რაკეტის იაპონიის ზღვის მიმართულებით გაშვების გამო პროტესტს გამოთქვამს. მიმდინარე წელს ეს მსგავსი მესამე შემთხვევაა. აშშ-ის წინადადებაა, სანქციების მეშვეობით რეაგირება, რაზეც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა აცხადებს, რომ რეაქცია კიდევ უფრო მკაცრი იქნება. ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ რაკეტების გაშვება არის „თავდაცვის უფლების განხორციელება".**

* * *

**ჩინეთმა და ინდოეთმა ჰიმალაის მთებში არსებულ სადავო ტერიტორიებზე ზამთრის პერიოდში კონფრონტაციაზე უარი თქვეს. ორივე ქვეყნის საგარეო უწყებები ადასტურებენ, რომ შერიგება მხოლოდ ზამთრის პერიოდზე გავრცელდება. სასაზღვრო კონფლიქტი ინდოეთსა და ჩინეთს შორის 2020 წელს საზღვრის დემარკაციის საკითხს მოჰყვა. მესაზღვრეებს შორის შეტაკებები მაშინ მსხვერპლით დასრულდა.**

# სოციალური პროგრამები უკვე გაზრდილი ბიუჯეტით გრძელდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ახალი მოთხოვნებით და გაზრდილი დაფინანსებით ძველი, უკვე აპრობირებული სოციალური პროგრამები ისევ გააქტიურებულია. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახლაც სთავაზობს აჭარის მოსახლეობას მათზე მორგებულ პროგრამებს და სწავლობს მათ საჭიროებებს, რათა სამომავლოდ ახალ პროგრამებში განაზოგადოს იგი.*

*ამ საკითხზე გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან* ***ინდირა ნაკაიძესთან****.*



**- ქალბატონო ინდირა, ხომ არ შეწყდა რომელიმე ძველი სოციალური პროგრამა ან დაემატა ახალი 2022 წლიდან?**

- არც ერთი პროგრამა არ შეწყვეტილა - გრძელდება უკვე გაზრდილი დაფინანსებით. პროგრამების შემუშავება ხდება სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით. ესაა: მოსახლეობის მომართვიანობის, სოციალური მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი; პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენა; მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებით დაინტერესებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, შესაბამისი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში ხელშეწყობა. მათი მიზანია სახელმწიფომ კიდევ უფრო გააძლიეროს სოციალური თანადგომა და მხარდაჭერა, რომელიც მიმართული უნდა იყოს მიმღებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და სოციალური უსაფრთხოებისაკენ.

> *ჩვენ შევისწავლეთ ბაზარი, ინფორმაცია მივიღეთ იმ დაწესებულებებისგან, საიდანაც ხდება სერვისის მიწოდება. თანხა ფასების მონაცემების ანალიზით გაიწერა ბიუჯეტში. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბენეფიციარებს არ დასჭირდებათ თანხის დამატება ამა თუ იმ, მათთვის აუცილებელი ნივთის შესაძენად*

ამაში, ცხადია, ხელს გვიწყობს, ცენტრალური და რეგიონალური აღმასრულებელი ხელისუფლებები, როგორც ფინანსურად, ისე საკანონმდებლო ბაზით. ჩვენი პროგრამების დაფინანსება ყოველ წელს იზრდება, აქედან გამომდინარე, არც ერთი მათგანი არ შეჩერებულა, პირიქით, უფრო და უფრო მეტი ბენეფიციარის მომსახურებას არეგულირებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა შარშანდელი პროგრამა დარჩა ბიუჯეტების მეტ-ნაკლები ზრდით, მოთხოვნისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

**- ძირითადად, რომელი პროგრამის დაფინანსება გაიზარდა?**

- თითქმის ყველას. დავიწყოთ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 6 პროგრამით. ყოველ მათგანში გაზრდილია ბენეფიციართა რაოდენობა, რამაც თავისთავად გამოიწვია ბიუჯეტის მატებაც. გარდა ამისა, ზოგიერთში მოხდა კურსის დაფინანსების ლიმიტის ზრდა. მაგალითად, ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა დეფორმაციების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის ერთ კურსზე თუ შარშან 178 ლარი იყო გათვლილი, წელს 220 ლარით დაფინანსდება.

შეიცვალა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის კურსში სეანსების რაოდენობა. მანამდე ერთი კურსი შედგებოდა 15 სეანსისგან, წელს კი თითო კურსი 20 სეანსს ითვალისწინებს. შესაბამისად, შეიცვალა დაფინანსების მოცულობაც 300-დან 400 ლარამდე. ადრე თუ 50 ბავშვზე იყო გათვლილი, შემოსული განცხადებების საფუძველზე, 100 ბენეფიციარზე გაიზარდა პროგრამაში ჩასართავი ბავშვების რაოდენობა.

**- თუ შეიძლება დააკონკრეტეთ, რას გულისხმობს ეს პროგრამა?**

- პროგრამა ძირითადად ქცევითი ანალიზის თერაპიას მოიცავს და გულისხმობს, საჭიროებების მიხედვით, ქცევითი ანალიზის თერაპევტის, ფსიქოლოგის, ლოგოპედის და სხვა სპეციალისტების მუშაობას ბენეფიციარებთან. თუ ბავშვს ფსიქოლოგიურთან ერთად, აქვს ფიზიკური პრობლემებიც, შესაძლებელია ფიზიკური თერაპიის კურსებიც მიიღოს ამ პროგრამის ფარგლებში. პროგრამა ეხება 18 წლამდე ასაკის პირებს. გაიზარდა სხვა პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა და პროგრამების ბიუჯეტიც. ბავშვთა ფსიქოსომატური რეაბილიტაცია თუ იყო გათვლილი 700 ბენეფიციარზე, გაიზარდა 900-მდე. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში 300-ის ნაცვლად 500 ბავშვი ჩაერთვება.

**- რა ასაკის ბავშვებისთვისაა პროგრამა გამიზნული?**

- „ბავშვთა ადრეული განვითარების" ძირითადი მიზანია განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება. პროგრამა მუშაობს 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, რომლებსაც აქვთ განვითარების ეტაპების დაყოვნება, შეზღუდული შესაძლებლობა ან ამ მხრივ რისკი, რაც დადასტურებულია პროგრამით გათვალისწინებული ICD-10-დიაგნოზებით (მათ შორის: დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, განვითარების ზოგადი აშლილობა, მეტყველების განვითარების აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა).

„ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაციის" პროგრამის მიზანი კი განსაზღვრული დიაგნოზის მქონე ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, ბავშვის ინკლუზიური განვითარების მხარდაჭერა, სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება და ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებაა. არის ცვლილებები ზემოაღნიშნული პროგრამების დაფინანსების მოცულობაში - განსაზღვრული სოციალური კატეგორიის ოჯახებს ეს სამედიცინო სერვისი 100%-ით დაუფინანსდება, ხოლო თუ ამ კატეგორიის გარეთაა ბენეფიციარი, თანაგადახდის პრინციპით, 50%-ით დაფინანსდება. საკმაოდ დიდია სოციალური კატეგორიის ჩამონათვალი, ვისაც ერგება 100%-იანი დაფინანსება. მათ შორისაა: შშმ ბავშვები, სოციალურად დაუცველი ოჯახები 200 000 ქულის ჩათვლით, თუ ერთ-ერთი მშობელი მაინცაა შშმ სტატუსის მქონე პირი ან მარტოხელა, მარჩენალდაკარგული ოჯახი, ან ორი და მეტი ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება ჩვენს რომელიმე პროგრამაში ჩართვა. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შვილებსაც ვეხმარებით. პროგრამის გარეთ არავინ რჩება, ყველა ბავშვი, საჭიროებების მიხედვით, ჩაერთვება შესაბამის პროგრამაში.

**- რაც შეეხება ხანდაზმულებს?**

- ხანდაზმულების და შშმ პირების დახმარების ყველა პროგრამა დარჩა, მათ შორისაა, სმენის აპარატები, გადაადგილებისა და სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა. გადაადგილების საშუალებებში ვგულისხმობ როგორც მექანიკურ, ისე ელექტროეტლებს, ხოლო სხვა დამხმარე საშუალებები ითვალისწინებს ჟანგბადის კონცენტრატორს, სამედიცინო ფუნქციურ საწოლს და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს პროგრამები გრძელდება, თუმცა შეიცვალა დაფინანსების მოცულობა. თუ სმენის აპარატები ფინანსდებოდა 270 ლარამდე თანხით, ახლა 350 ლარით დაფინანსდება.

**- იყო საუბარი მძიმე ხარისხის სმენადაქვეითებულ ბავშვებზე...**

- დიახ, ეს ბავშვები უზრუნველყოფილი არიან უფრო მგრძნობიარე აპარატებით, რომელთა ღირებულება 1400 ლარია. ასევე, პროგრამას ემატება პედიატრიული სმენის 1000-ლარიანი აპარატებიც, რომელიც სხვადასხვა ხარისხის მქონე სმენადაქვეითებულ ბავშვებს გადაეცემათ. სმენაპროთეზირებული ბავშვებისთვის აგრეთვე მოქმედებს ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სპეციალისტების მომსახურება წელიწადში ორჯერ. თითოეული კურსი ითვალისწინებს 14 ვიზიტს. ეს ეხება კოხლეარული იმპლანტის მქონე და სმენის აპარატით მოსარგებლე ბავშვებს.

**- ეტლებთან დაკავშირებითაც იყო განსხვავებული მიდგომა?**

- რაც შეეხება ეტლებს, ისევ ძალაშია ოთახში გადაასადგილებელი, მექანიკური და ელექტროსავარძელ-ეტლებით დახმარება. მექანიკური სავარძელ-ეტლის ფასი 720 ლარიდან 760 ლარამდე გაიზარდა, ხოლო ელექტროსავარძელ-ეტლები 3580 ლარით იყო შეფასებული შარშან, წელს თითოეულისთვის 5053 ლარი გამოიყო. ამ თანხაში გათვლილია პაციენტზე ეტლის მორგების სერვისიც.

2022 წელს ქვეპროგრამას ემატება პედიატრიული სავარძელ-ეტლები. ბავშვები, რომლებსაც აღენიშნებათ სხვადასხვა სიმძიმის პოზის დეფორმაციები ან დეფორმაციის ტენდენციები, უზრუნველყოფილი იქნებიან მექანიკური სავარძლებით როგორც გარე, ასევე შიდა სივრცეში მანევრირებისათვის. ასეთი ეტლის ღირებულების ლიმიტი 2650 ლარით განისაზღვრა. რაც შეეხება ქვეპროგრამას, „სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა", ჩამონათვალი რჩება იგივე, შეიცვალა ზოგიერთი მათგანის ღირებულების ლიმიტი. მაგალითად, ჟანგბადის კონცენტრატორის ღირებულება 1500 ლარის ნაცვლად, 1750-მდე გაიზარდა. ფუნქციური საწოლის ლიმიტი 1200 ლარია, ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბის თანხა 150-დან 200 ლარამდე გაიზარდა. ნახველის ასპირატორი - 260-დან - 350-მდე და სხვ. აი, ასეთი ცვლილებებია დაფინანსების ზრდის კუთხით.

**- რამდენად აკმაყოფილებს ფასების ზრდა მოთხოვნას?**

- ჩვენ შევისწავლეთ ბაზარი, ინფორმაცია მივიღეთ იმ დაწესებულებებისგან, საიდანაც ხდება სერვისის მიწოდება. თანხა ფასების მონაცემების ანალიზით გაიწერა ბიუჯეტში. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბენეფიციარებს არ დასჭირდებათ თანხის დამატება ამა თუ იმ, მათთვის აუცილებელი ნივთის შესაძენად. ჩვენს მიერ გაცემულ ვაუჩერში მითითებული თანხა საკმარისია დამხმარე საშუალების შესაძენად.

**- რომელი პროგრამა სარგებლობდა ყველაზე დიდი მოთხოვნით და რომელი იყო გამორჩეულად ეფექტური?**

- ყველა პროგრამა სარგებლობდა მოთხოვნით და იყო ეფექტური. აქედან გამომდინარე, წლის ბოლომდე არ წყდება მომართვიანობა. უკლებლივ ყოველი მათგანი კარგად მუშაობს და საჭიროა ჩვენი ბენეფიციარებისთვის.

**- თუკი იმაზე მეტი მოთხოვნა დაფიქსირდა, ვიდრე ბიუჯეტითაა გათვლილი?**

- ამ შემთხვევაში ხდება პრიორიტეტების გადახედვა და საჭირო თანხის დამატება, თუ ამის საშუალებას გვაძლევს საბიუჯეტო წლის ვადები.

**- სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა ისევ მოქმედებს?**

- დიახ, მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის პროგრამა ისევ მუშაობს, თუმცა ..როდესაც ჩვენ დავიწყეთ ამ ქვეპროგრამის განხორციელება, ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 18 წლის ზემოთ ასაკის ახალგაზრდებიდან დახმარების მიღება შეეძლოთ მხოლოდ მზრუნველობამოკლებულ სტუდენტებს. 2022 წლისათვის ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, გაფართოვდა პროგრამის ბენეფიციართა ნუსხა. ასე რომ, ჩვენთან დარჩნენ მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომლებიც თავიდანვე ჩავრთეთ პროგრამაში. ახალ ბენეფიციარებს კი სახელმწიფო პროგრამა დააფინანსებს. ამ კუთხითაც სიახლეები გველოდება. გავეცანი დადგენილებას, რომლის მიხედვითაც, 18-21 წლამდე ყველა ამ კატეგორიის ახალგაზრდა, მინდობით აღზრდაში თუ პანსიონში მყოფი, მიიღებს მატერიალურ დახმარებას. მათ ყველა პირობას უქმნიან დამოუკიდებელი ცხოვრების გასაგრძელებლად, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობაში, მათ შორის სწავლებასა და დასაქმებაში.

**- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარზე რას გვეტყვით?**

- დედათა და ბავშვთა თავშესაფარი ისევ ფუნქციონირებს. პროგრამა გრძელდება. ბენეფიციართა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა, რადგან ძალიან დიდი მოთხოვნაა. ვნახოთ, რას გვიჩვენებს შემდგომი პერიოდი. თუკი აუცილებლობა მოითხოვს, შევეცდებით, გავზარდოთ ბენეფიციართა რაოდენობა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დღიური ნორმა იყო დღეში 19 ლარი, რომელიც გავზარდეთ 21 ლარამდე, ხოლო თუკი ბენეფიციართა შორის შშმ პირებია, დედა ან შვილი, მათთვის დღიური ნორმა 30 ლარია. ისევ ფუნქციონირებს გერიატრიული თავშესაფარი, ძალიან დიდი მოთხოვნილებითაც სარგებლობს. პროგრამის მოსარგებლეები არიან სხვადასხვა ტიპის დემენციით დაავადებული, ასაკით პენსიონერი ადამიანები, რომლებიც ვერ ხვდებიან ფსიქიატრიული ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში, ან მარტოხელები არიან, ან ოჯახში ვერ ხერხდება მათი მოვლა. ასეთი ადამიანებისთვის მშვენიერი თავშესაფარი შეიქმნა თავისი კვებით, სამედიცინო და სხვა მომსახურებით.

გრძელდება ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა. უკვე სამი საცხოვრისი გვაქვს, თითოეული 24 ბენეფიციარზეა გათვლილი. ჯერ მხოლოდ 72 ფსიქიკური აშლილობის გამო შშმ სტატუსის მქონე, რემისიულ პერიოდში მყოფი პირი ცხოვრობს აქ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც სტაციონარში ყოფნა არ სჭირდებათ და აქვთ ყოფითი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარჩვევები. შეიძლება ითქვას, თემივით ცხოვრობენ, თავად იმზადებენ საჭმელს, ალაგებენ, ერთობიან, ურთიერთობენ. ბენეფიციარებს არა აქვთ ოჯახში სათანადო პირობები, არ ჰყავთ მხარდამჭერი, აქ კი სპორტულ აქტივობებსა და გასართობ ღონისძიებებსაც უწყობენ. დროთა განმავლობაში, შესაძლოა საცხოვრისის ფორმატი შეიცვალოს საოჯახო ტიპზე, 24-ის ნაცვლად, 5-6-8 ადამიანის შემადგენლობით. თუმცა ეს მომავალზე გათვლილი გეგმაა. იმედი გვაქვს, ამ პროექტს უახლოეს პერიოდში განვახორციელებთ.

**- ახალშობილებზე არ არის გათვლილი ერთჯერადი თანხა?**

- სამინისტროში მოქმედებს ახალშობილი ტყუპების ოჯახების მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა, ტყუპისცალზე - ათასი ლარის ოდენობით. ასევე, ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით, 1000 ლარი გადაეცემა 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს. გრძელდება „2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების" ქვეპროგრამაც.

**- კორონავირუსთან დაკავშირებით რა სახის დახმარებას უწევდით მოსახლეობას?**

- ბევრი გვაკითხავდა სამინისტროში და როგორც შეგვეძლო, ვეხმარებოდით რომელიმე პროგრამაში ჩართვით ან ვაკვალიანებდით. ამ მხრივ, ძირითადად, მუნიციპალიტეტები აქტიურობდნენ. გადატანილი კორონავირუსის შემდგომ პერიოდში ბევრ პაციენტს ფილტვების, სუნთქვის პრობლემები რჩებოდათ და ჟანგბადის კონცენტრატორებზე იყო დიდი მოთხოვნა. ამის ხარჯზე რამდენჯერმე გავზარდეთ ამ პროგრამის ბიუჯეტი, არ გვქონია შეფერხება, ვცდილობდით მაქსიმალურად დაგვეკმაყოფილებინა ამ სირთულის წინაშე აღმოჩენილი ჩვენი კოვიდგადატანილი მოქალაქეები. ქვეპროგრამის ფარგლებში 200-ზე მეტ მოქალაქეს გადაეცა ჟანგბადის კონცენტრატორი მუდმივი ოქსიგენოთერაპიისათვის.

**- წარმატებებს გისურვებთ, ქალბატონო ინდირა თქვენ და მთელ სამინისტროს ამ კეთილშობილურ საქმეში!**

# აჭარა-ლაზეთის სადროშო – ერის სამსახურში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ჩვენი სტუმარია საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების აჭარა-ლაზეთის სადროშოს დარბაზის თავკაცი* ***თენგიზ თავდგირიძე.***



**- ბატონო თენგიზ, რით იყო დასამახსოვრებელი გასული წელი აჭარა-ლაზეთის სადროშოს ჩოხოსნებისთვის?**

- პირველ რიგში, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ვულოცავ დაბადებიდან 89 და აღსაყდრების 44 წლების იუბილეს. ასევე, ვსარგებლობ თქვენი გაზეთით და როგორც დედით აფხაზი, ქართველ და აფხაზ ერს ვულოცავ შობა-ახალი წლის შემობრძანებას.

**- ჩოხოსანთა რიგებს გამოაკლდა უხუცესი წევრი, მეცნიერი და მკვლევარი, მწერალი, ბერ-მონაზონი ანდრია (რამაზ) სურმანიძე, მისი ღვაწლის დასაფასებლად რა აქტივობებს აპირებთ?**

- მამა ანდრიას გარდაცვალებით ქვეყანამ ბევრი დაკარგა. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზს ბერ-მონაზონ ანდრია (რამაზ) სურმანიძის სახელი მიენიჭა. ბათუმის მერიასთან შეთანხმებით, გაიხსნება მემორიალური დაფა. მის უკვდავსაყოფად კიდევ ერთ საკითხს დავაყენებთ - ბათუმში ერთ-ერთ ქუჩას რამაზ სურმანიძის სახელი მიენიჭოს. სულ ცოტა ხანში ჩოხოსნებს გვექნება საკუთარი ოფისი, სადაც მისი სახელობის კუთხე გაკეთდება.

**- სადროშოში განახლების პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ახლა ვიწყებთ ერთგვარ მოსამზადებელ სამუშაოებს ფოლკლორულ სტუდიებთან, რათა მოზარდები, მშობლებთან შეთანხმებით, გავაწევრიანოთ ჩოხოსანთა საზოგადოებაში. ვფიქრობ, მომდევნო ჩოხოსნები მხოლოდ ბავშვები იქნებიან, რამდენიმე ათეული მოზარდი. აჭარა-ლაზეთის ჩოხოსნებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს დადებული საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციასთან. ბათუმის ფოლკლორის ცენტრთანაც გავაფორმებთ ამგვარ მემორანდუმს.

**- ქვეყნის მართლმადიდებელი სამწყსოს ლიდერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩოხოსნებს გამორჩეულ პატივს მიაგებს... აჭარის სადროშოს ჩოხოსნების დამოკიდებულება მართლმადიდებლური მრწამსისადმი?**

- საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება დაფუძნდა 2005 წელს, თბილისის სამების საკათედრო ტაძარში. ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი მეც გახლავართ. მაშინ პატრიარქს ვკითხე ქართველ მუსლიმთა სადროშოში გაწევრიანების შესახებ. პატრიარქმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო ამასთან დაკავშირებით - ისინი ხომ ჩვენი ძმები არიანო. აჭარა-ლაზეთის ჩოხოსნების რიგები მაჰმადიანი მრევლისგანაც არის შევსებული. ჩვენ ერთმანეთის ტკივილით ვცოცხლობთ, ჭირიცა და ლხინიც ერთი გვაქვს.

**- ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მღვდელმთავრის, მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ახლო მომავალში რა სიახლეებს ველოდოთ?**

- მიტროპოლიტი დიმიტრი აჭარა-ლაზეთის ჩოხოსნების თავმჯდომარეა, მე კი მეუფის კურთხევით, დარბაზს ვხელმძღვანელობ, ასევე ორგანიზაციას ჰყავს სულიერი მოძღვარი - დეკანოზი სერგი. ჩოხოსნების ყველა აქტივობა ხდება მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით. ჩოხოსანთა საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს წესდებით დადგენილ ნორმებს. ესაა: დედაეკლესია, საკუთარი ოჯახები, შვილები და შვილიშვილები, ტრადიციები, პატივი სცეს უფროსს და უმცროსს.

საზოგადოებას მოეხსენება, თუ როგორი შტურმი გამოუცხადეს საპატრიარქოს, წმიდა სინოდს, დედაეკლესიას, თვით პატრიარქს და მღვდელმთავრებს რეაქციულმა, ანტიქართულმა, სოდომისტურმა ძალებმა. მათ ვაფრთხილებთ - შეწყვიტონ ეს ბრძოლები და მოინანიონ ჩადენილი ცოდვები. ჩოხოსნები გავაგრძელებთ მუშაობას, ყველა ჩოხოსანს დაევალება, საკუთარ გვარში შექმნას საგვარეულო კავშირები, რომ მაქსიმალურად ვაკონტროლოთ ჩვენი სისხლი და ხორცი. ასევე, ყველა ჩოხოსანს დაევალება, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით შემოიკრიბოს სამეზობლო, მათი მეშვეობით - სანათესაო, ეს სამუშაოები გაგრძელდება სოფლებსა და ქალაქებში, სკოლებსა და საბავშვო ბაგა-ბაღებში, სახელოვნებო სტუდიებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტებთან და სპორტულ ფედერაციებთან. ვიმოქმედებთ მხოლოდ კანონის სრული დაცვით.

**- რით დაამახსოვრეთ აჭარას და სრულიად საქართველოს ახალი წლის დაწყება?**

- საქართველოს ჩოხოსნებს, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ტრადიციად გვაქვს ახალი წლის და შობის ღამეს პირველად დაბადებული გოგო-ბიჭი სამშობიარო სახლში მოვინახულოთ და შევმოსოთ ეროვნული სამოსით. ასევე ვატარებთ საქართველოს მასშტაბით, წელიწადში ოთხჯერ, საერთო ჯვრისწერებს წლების წინათ დაქორწინებულებთან. მომდევნო ჯვრისწერა 27 იანვრს, ნინოობაზე გვექნება. თუ ვინმეს სურვილი აქვს, რომ ჯვარი დაიწეროს, მოგვმართონ.

**- თქვენმა სადროშომ მრავალი მივიწყებული ფაქტი და მოვლენა, ისტორიისთვის უცნობი პიროვნება წარმოაჩინა. რა დამოკიდებულება აქვს ქვეყნისა და რეგიონის ხელისუფლებას ამ წამოწყებისადმი?**

- ამ ეტაპზე ჩვენი საზრუნავია ისტორიული პიროვნებების, სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილების ოჯახებთან ურთიერთობების დამყარება, საფლავების მონახულება. რამდენიმე წლის წინ რამაზ სურმანიძე ასათიანებზე წერდა ისტორიულ წიგნს. სულმნათი მალხაზ სიორიძისა და მამა ანდრიას კვლევებით დადასტურდა, რომ 1921 წლის მარტში, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით ბათუმის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში დაღუპულთა შორის იყო ორთაბათუმელი ალი ასათიანი. ომის დასრულების შემდეგ 18-23 მარტს, როდესაც დაღუპულ გმირებს მოუყარეს თავი, ყველა ქართველი ეძებდა საკუთარი შვილებისა და და-ძმების ცხედრებს. ალი ასათიანის ცხედარი მისმა ნათლიამ და მეზობელმა ხაფიზ სურმანიძემ ამოიცნეს და გადაასვენეს ორთაბათუმში. ამის შემდეგ გმირების საფლავები დაიკარგა. 2010 წელს, ასათიანების საგვარეულო წიგნზე მუშაობის დროს აღმოვაჩინეთ ალი ასათიანის დაკარგული საფლავი. ვფიქრობ, იგი კეთილმოეწყობა და აღიმართება სტელა. ასევე მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, დედა სიდონიას პასუხისმგებლობით, ხელვაჩაურის ვეტერანთა საბჭოს ხელმძღვანელობასთან ერთად, დავიწყეთ 1937 წელს რეპრესირებულთა საფლავების მოძიება. ერთი საძმო განსასვენებელი აღმოვაჩინეთ ხელვაჩაურის ე.წ. 90-ე სატანკო პოლკის ეზოში... ასეთი ერთი სამარხი არის სალიბაურში, ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის (ბერიას) ეზოში. ადგილი ზუსტად ვიცი. საუბედუროდ, ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რეზიდენცია ერთ ლარში გაასხვისა მეზობელი ქვეყნის ბიზნესმენზე. 1921 წლის მარტში, ბათუმის განთავისუფლებისთვის გმირულად დაღუპულ საძმო სასაფლაოზე, ჯვართან, ყოველი თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვში, 13-00 საათზე, მამა სერგი, ჩოხოსნებთან და მრევლთან ერთად, იხდის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს, რომელიც არასდროს შეწყდება.

**- იმ აფხაზებზე რას გვეტყვით, რომლებმაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიაში საკუთარი ხელწერა დატოვეს?**

- მე, როგორც დედით აფხაზმა, ბათუმში აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ერთად, დავაფუძნე ქართულ-აფხაზური მეგობრობის საზოგადოება „ძმობა", რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებში, ასევე აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებში. დავიწყეთ უხუცესი აფხაზების ძებნა. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ბსუ-ის პროფესორმა რევაზ დიასამიძემ, რომელიც ნახევრად აფხაზია და ფლობს აფხაზურ ენასაც, გვითხრა, რომ უნდა გვენახა ბათუმში ერთ-ერთი ცნობილი აფხაზი ოჯახის შვილი და იმ დროს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორი, აწ განსვენებული ქალბატონი ფერიდე აცამბა. ის ყოველ ზაფხულს ბათუმში ატარებდა. მან ჩვენთან შეხვედრის დროს თქვა, რომ მამამისი, აფხაზთა მამამთავარი მუსტაფა აცამბა 1932 წელს, მისი ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ჩირუხის მთაში. თვითონ იმ დროს 12 წლისა ყოფილა. განსვენებულ ბერმონაზონ ანდრია (რამაზ) სურმანიძის ძიებით, შუახევში გამოჩნდა უხუცესი ქალბატონი ესმა ფუტკარაძე-მახარაძე, რომელსაც ახსოვდა საფლავი. რა თქმა უნდა, მხცოვანი ქალბატონი ავიყვანეთ ჩირუხის იალაღებზე. მან მიგვიყვანა საფლავთან, რომელიც მიწასთან იყო გასწორებული, ბატონმა რამაზმა მისი შუახეველი მეგობრების გურამ და სულიკო მახარაძეების მატერიალური თანადგომით და ფიზიკური შრომით საფლავი კეთილმოაწყო. გაზეთ „აჭარის" საშუალებით მათ ახალ წელს მივულოცავ ჩემი და აცამბების ოჯახების, აფხაზთა სახელით და მადლობას გადავუხდი. საფლავის აღდგენის დღე საზეიმოდ აღვნიშნეთ, 70 წლის მერე მუსტაფა აცამბას ქალიშვილი, მხცოვანი ქალბატონი ფერიდე აცამბა სანათესაოსთან ერთად იქ ავიყვანეთ. ჩვენ გავიარეთ ის გზა, რომლითაც მომაკვდავი მუსტაფა აცამბა აიყვანეს მთა ჩირუხში, მასზე დოკუმენტური ფილმი „აფხაზები აჭარაში" გადაიღეს აწ განსვენებულებმა ზაზა ხალვაშმა და ზურა ქავთარაძემ.

**- სადროშო რას აკეთებს ორი უძველესი ერის დაახლოებისა და წარსულში არსებული მეგობრული ურთიერთობის აღსადგენად?**

- ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გასულ წლებში ბატონ რამაზთან ერთად. ამ მოძრაობას მისი გარდაცვალებით ძალიან დიდი ძალა დააკლდა. რა თქმა უნდა, პანდემიამაც ხელი შეგვიშალა. ყურადღებას ვაქცევთ აფხაზეთიდან ბათუმში სხვადასხვა დაავადებით გადმოყვანილ პაციენტებს. აქაც ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ჩვენს მედპერსონალს უანგარო მსახურებისთვის. გასულ წლებში არაერთი სტუმარი გვყავდა აფხაზეთიდან: იქაური პედაგოგები პირველ საჯარო სკოლაში კოლეგებს შევახვედრეთ, ასევე, ექიმებიც და მცირე მეწარმეებიც. აფხაზ ექიმებთან ერთად, ორჯერ, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის კურთხევით, სამ-სამი დღით შუახევსა და ხულოში საქველმოქმედო სამედიცინო აქცია ჩავატარეთ. გაისინჯა ათასზე მეტი ადამიანი, უფასოდ დაურიგდათ წამლები, რასაც აფხაზმა ექიმებმა გაუკეთეს ორგანიზება. აფხაზთა დელეგაცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს შევახვედრეთ. თურქეთშიც ვიყავი წასული, იალოვას გუბერნიაში, სადაც მოვინახულე აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები. სახალხო დიპლომატიას, როგორც ხელისუფლების, ასევე ბიზნესსექტორის მხარდაჭერა სჭირდება. ამ პროცესებში როგორც ჩოხოსნები, ასევე თავადაზნაურთა საზოგადოება და ჩვენი კუთხის თვალსაჩინო ადამიანებიც არიან ჩართულნი.

**- სადროშოს ლიდერი პოლიტიკაშიც ადგილის დამკვიდრებას ცდილობდით... ბათუმის საკრებულოში არსებული მდგომარეობის დასარეგულირებლად რა მოსაზრებას გვთავაზობთ?**

- დიახ. „პატრიოტთა ალიანსიდან" ვიყავი წარდგენილი ბათუმის მერობის კანდიდატად. ჩემი აზრით, ყველა სახელმწიფო სამსახურს წარმატებული, ცნობილი ადამიანები უნდა ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც მაღალი რეიტინგით სარგებლობენ მოსახლეობაში. რაც შეეხება, დღევანდელი მოწვევის საკრებულოს, კადრები წყვეტენ წარმატებასაც და წარუმატებლობასაც. ვფიქრობ, ბათუმში საკრებულოს ახალი არჩევნები ჩატარდება.

**- ამომრჩეველი იმავე პოზიციაზე რომ დარჩეს?**

- „ნაციონალების" ხელისუფლებაში მოსვლით, ამ შემთხვევაში, თუნდაც ბათუმის საკრებულოში სავალალო შედეგებამდე მივალთ. ხალხს (ამომრჩეველს) ერისკაცებმა უნდა ვუთხრათ, რომ ის თხუთმეტი პარტია, რომელიც ე.წ. მემორანდუმზე ხელის მოწერით და თავისი ქმედებებით მხარს უჭერს სოდომისტურ ძალებს, ებრძვის დედაეკლესიას, წმიდა სინოდს, პატრიარქს, გიმნაზია-პანსიონებს, სამარცხვინოდ გაყიდა ბათუმში გმირთა საფლავები, სიმბოლურ ფასად - ბათუმის მეექვსე სკოლა, ჩაგვიწერა ათასობით უცხო ქვეყნის მოქალაქე და ა.შ. ვერ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში.

**- აჭარა-ლაზეთის სადროშოში ქალბატონებიც გყავთ.**

- გადაჭარბებაში არ ჩამითვალოს მკითხველმა და ჩოხოსნებში მართლაც გამორჩეული და უნიჭიერესი ქალბატონები არიან. ისინი ნებისმიერ თანამდებობას, სამსახურს დაამშვენებენ, მათ არც პოლიტიკაში შეეშლებათ რამე.

**- სადროშოს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ისტორიული კინტრიშის ხეობაში სამონასტრო ცხოვრების აღდგენაში. მაჭახლის ხეობა მივიწყებულივით რჩება...**

- კინტრიშის ხეობაში რომელსაც ახლა ოფიციალურად ხინოწმიდის ხეობა ჰქვია, მეუფის კურთხევით, 2006 წელს საზეიმო ვითარებაში დავაფუძნეთ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების აჭარა-ლაზეთის სადროშო. აქ რამდენიმე წელია მოღვაწეობს ბერ-მონაზონი ევდემოზი (დიასამიძე), რომელმაც დააფუძნა ხინოწმიდის უხუცესთა საბჭო. მას ხელმძღვანელობს უხუცესი ჩოხოსანი სოლომონ ინაიშვილი, მასთან ერთად გამგეობის წევრები არიან: ბერ-მონაზონი ევდემოზ (დიასამიძე), ავთანდილ ბეჟანიძე, რევაზ ცეცხლაძე, ტარიელ ვერულიძე, დურსუნ მიქელაძე და მალხაზ ჯაფარიძე. ორგანიზაციას თავისი საქმიანობით მოკრძალებული წვლილი შეაქვს ხინოწმიდის ხეობის განვითარებაში. რაც შეეხება მაჭახლის ხეობას, იგი შედგება ათი სოფლისგან. ქვედა ჩხუტუნეთში მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, აწ განსვენებულ თენგიზ და მარიამ (მაყვალა) მალაყმაძის ოჯახში გაიხსნა დროებით მოქმედი ღვთისმშობლის მიძინების სახლი-ტაძარი. წირვა-ლოცვებს სადღესასწაულო დღეებში აღავლენს დეკანოზი თევდორე (ახალაძე). ასევე, მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიზნესმენი ჯემალ მალაყმაძე. გეთანხმებით, ჩოხოსანთა საზოგადოების როლი უნდა გაიზარდოს მაჭახლის ხეობაში, ამ დღეებში ვგეგმავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორ როინ მალაყმაძესთან შეხვედრას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ხეობის დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებაში, უხუცეს მომღერალთა ანსამბლის ჩამოყალიბებაში. ძალიან გულანთებული მამულიშვილია, ჩვენ მას წარვუდგენთ ჩვენს ხედვას, შემდეგ კი მაჭახლელ ბიზნესმენებთან მოვითათბირებთ. მირვეთელ დავით დიასამიძესაც შევეხმიანებით, რომლის ოჯახიც და თვითონაც ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ხეობაში. აჭარა-ლაზეთის ჩოხოსანთა საზოგადოების თავკაცის, მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, პირველად მაჭახლის ხეობის სოფლებში, დავაფუძნებთ აჭარა-ლაზეთის ჩოხოსანთა საზოგადოების პირველად ორგანიზაციებს.

**- სადროშოს ინიციატივით, ბათუმში, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტებში რამდენიმე ტაძარი აიგო. ახლა რომელ სოფელზე გაქვთ აქცენტი გადატანილი?**

- ზოგადად, ჩვენი კუთხის შვილებმა უნდა იცოდნენ, მეუფე დიმიტრი ეკლესიის მშენებლობაზე კურთხევას არ აძლევს, თუ ეს ადგილობრივ მცხოვრებთა უმრავლესობის მოთხოვნა არ არის, ასევე, პროექტი თუ არაა შეთანხმებული ბათუმის არქიტექტურის სამსახურთან და შესაბამისად, ადგილი არაა გამოყოფილი, რაც ძალიან მისასალმებელია. ბარცხანის დასახლებაში, ეკლესიის მშენებლობის ორგანიზატორი მეუფის კურთხევით, პირადად გახლდით. მოსახლეობიდან უნდა მოდიოდეს ინიციატივა. შეიძლება მე ჩემი ნაკვეთი დავუთმო ეკლესიის მშენებლობას, მაგრამ უშუალოდ სოფლის ან დასახლების მცხოვრებთა წერილობითი თანხმობა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ აშენდება.

**- საზოგადოებას ახსოვს, რომ ჩოხოსნები ქართულ სკოლებში საღვთო რჯულის სწავლებისთვის მზაობას გამოთქვამდით. ეს ინიციატივა დაკონსერვდა თუ.....**

- ანტიქართულმა ძალებმა ბევრი რამ გააფუჭეს ქვეყანაში, მათ შორის, უდიდესი იერიში მიიტანეს განათლების სფეროზეც. იმდენს მიაღწიეს, რომ სასწავლებლებიდან საღვთო სჯულის სწავლება ამოაღებინეს.

**- ახლახან, დაბადების დღე გქონდათ. საინტერესოა, ჩოხოსანი თენგიზ თავდგირიძე როგორ ხვდება ყოველი წლის 9 იანვარს?**

- დაბადების დღე საჯაროდ არასდროს გადამიხდია, ეს მხოლოდ საოჯახო გარემოში ხდება. ზოგჯერ არც კი მახსენდება. ჩემი შვილიშვილები მიხალისებენ დაბადების დღეებს. წელსაც ასე იყო.

# «დროა, კულტურის სფეროში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურების გაზრდაზეც ვიფიქროთ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***თითქმის ათი წელია ჭვანის ხეობას ასეთი უხვთოვლიანი და მკაცრი ზამთარი არ ახსოვს. ბუნების ჭირვეულობამ ყველას საქმე და საზრუნავი მოუმატა. მათ შორისაა ჭვანის თემის მაჟორიტარი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მალხაზ ტაკიძე. იგი «აჭარასთან» საუბრობს***



- მამა 70 წელსაა გადაცილებული. მას ისეთი ზამთარიც ახსოვს, როცა ბათუმი-ახალციხის მაგისტრალზე ტრანსპორტის მოძრაობა 10-15 დღით შეფერხდა. დეკემბერსა და იანვარში წვიმა იშვიათობა იყო. წელს უხვთოვლობას წინ წვიმა უძღოდა. სველმა თოვლმა დააზიანა ელექტრომეურნეობა, სხვა საკომუნიკაციო საშუალებები, დააზარალა ფერმერები, შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა ხიჭაური-ნაღვარევის სოფლებში მისასვლელ გზებზე. პირველ რიგში მოსახლეობის, «ენერგო-პრო ჯორჯიას» შუახევის ცენტრის პერსონალის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუახევის წარმომადგენლობის მექანიზატორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სტიქიის შედეგად გამოწვეულ პრობლემებს ორგანიზებული შრომა დაუპირისპირეს. მათთან ერთად, საჯარო სამსახურებში დასაქმებულებიც ჩავერთეთ. აღდგენით სამუშაოებში ახალი წელი ყველა ოჯახმა ნორმალურ ვითარებაში იზეიმა.

**- დიდთოვლობისთვის თუ არიან მობილიზებული ცალკეული სამსახურები?**

- აჭარის მთიანეთში მცხოვრები თითოეული ოჯახი ზამთრისთვის მზადებას გაზაფხულიდანვე იწყებდა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა, ხელისუფლების მზრუნველობამ მრავალს ზამთრისთვის სამზადისი გადაავიწყა. ადრე, თუნდაც ჭვანის ხეობის სოფლებში, მიტოვებული სახლები, გავერანების პირას მისული ოჯახები იშვიათობა იყო. ახლა ისეთ მოსავლიან სოფლებში, როგორიცაა ჭალა, ცხემლისი, ტაკიძეები და სხვ. მიტოვებული ოჯახები მრავლადაა, ბევრგან მხოლოდ მოხუცები ცხოვრობენ. სოფელში დარჩენილებსაც მიხედვა სჭირდებათ. პირველი მკაცრი გამოცდა წარმატებით ჩავაბარეთ. იმედია, დარჩენილ დროსაც უმტკივნეულოდ, ადამიანების მსხვერპლის გარეშე გადავიტანთ.

**- ახალი შტამი «ომიკრონი» ქვეყანას მოედო. არც აჭარის მთიანეთი იქნება გამონაკლისი. უხვთოვლობა, სატრანსპორტო მიმოსვლის შეზღუდვა ინფიცირებულთა სამედიცინო პატრონაჟსაც გაართულებს...**

- ის წლებიც გვახსოვს, როცა შორეული სოფლებიდან მშობიარე დედები, მძიმე ავადმყოფები შვეულმფრენებით გადმოჰყავდათ, პირველადი მოხმარების მედიკამენტები და სასურსათო პროდუქტები სოფლებში საჰაერო ტრანსპორტით შეჰქონდათ. ამჯერად ასეთი ვითარება აღარაა, თუმცა არც ექსტრემალური სიტუაციებია გამორიცხული. წლევანდელი ზამთრის პერიოდში მძიმე ავადმყოფები გადმოვიყვანეთ შორეული უბნებიდან. სოფელ ახალდაბაში უმცროსკლასელს გულის პრობლემა ჰქონდა, მას დროულად მივეშველეთ. ბავშვი გადარჩა და სასწავლო წლის მეორე სემესტრს მშობლიური სოფლის სკოლაში გააგრძელებს. მადლობის მეტი რა გვეთქმის, სამედიცინო ჯანდაცვის ცენტრის, შუახევის სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმები და ექთნები ცივ და უხვთოვლიან ზამთარშიც ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას რამდენიმე სოციალური პროგრამა აქვს. ვცდილობ იგი ხელმისაწვდომი გახდეს ჩემი ოლქის ამომრჩევლებისთვისაც. უდავოდ დიდია აჭარის მთავრობის, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამინისტროს, მაჟორიტარი პარლამენტარის ანზორ ბოლქვაძის თანადგომა.

**- ჭვანის თემის (ადმინისტრაციული ერთეულის) მაჟორიტარს პირველივე სხდომაზე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობა განდეს. ორი კურდღლის მდევრის როლში ხომ არ იქნებით?**

- დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობა ცხოვრების წესად მაქვს ქცეული. ახლანდელი მოწვევის საკრებულო პროფესიონალი, ცხოვრებით გამოცდილი დეპუტატებითაა დაკომპლექტებული. მათი დახმარებით შევძლებ, რომ კომისიის მუშაობა დროის მოთხოვნათა შესაბამისად წარვმართო და მოსახლეობის წინადადებები, სურვილები მაქსიმალურად გავითვალისწინო. უკვე ამომრჩევლებთან რამდენიმე საჯარო შეხვედრა გავმართე, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. სოფლის, ხეობის პრობლემებთან ერთად ბევრს პირადი პრობლემებიც ჰქონდა. ზოგი სამუშაო ვითარებაში მოგვარდა, ზოგსაც რეგიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებითა და თანადგომით დავძლევთ. კომისიის სხდომაზე ვიმსჯელეთ რამდენიმე პროექტის შესახებ, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტის სხდომის დღის წესრიგში იყო შესატანი. კომისიის წევრთა ჩართულობა მოსაწონი იყო. თვით საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძეა იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, რაც ჩვენს საქმიანობას მეტ დატვირთვას აძლევს.

*„ ახლანდელი მოწვევის საკრებულო პროფესიონალი, ცხოვრებით გამოცდილი დეპუტატებითაა დაკომპლექტებული. მათი დახმარებით შევძლებ, რომ კომისიის მუშაობა დროის მოთხოვნათა შესაბამისად წარვმართო და მოსახლეობის წინადადებები, სურვილები მაქსიმალურად გავითვალისწინო. უკვე ამომრჩევლებთან რამდენიმე საჯარო შეხვედრა გავმართე, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ*

**- უმუშევრობა, ჭარბი შრომითი რესურსის უცხოეთში დროებით სამუშაოზე გასვლა ისევ პრობლემად რჩება. ამას რა პროგრამას დაუპირისპირებთ?**

- 10 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის. ამ თანხის ათვისება, პირველ რიგში, პროფესიონალ მუშახელს ითხოვს. ის ტურისტული ობიექტები, რომელიც მომავალში ხეობაში გვექნება, დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტს, აჭარაში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებს, კადრების მომზადების მიმართულებით მუშაობა დაწყებული აქვთ. როცა აჭარის 10 სოფელში მოსამზადებელი სემინარები ჩატარდა, ჭვანის ხეობის ორ სოფელშიც (გომარდული, ხაბელაშვილები) გადაამზადეს კადრები. ყველა მივესალმებით შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ომარ ტაკიძის ინიციატივას - რომელმაც მიმდინარე წელი ისტორიული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მოვლა-შენახვის წლად რომ გამოაცხადა. ოთოლთას ციხე, ჭვანის ხიდი, სოფლებში არსებული ქრისტიანული სამლოცველოების ნანგრევები გამორჩეულ მზრუნველობას საჭიროებს. ჭვანის ხეობაში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები უნდა განვითარდეს. უკვე გვყავს ფერმერები, რომლებმაც თანადაფინანსების პროგრამებით ისარგებლეს და საუკეთესო მეურნეობები შექმნეს. მომავალშიც, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების გამოყენებით, ჭალაში, წყაროთაში, ახალდაბაში, ტაკიძეებში, ხიჭაურის დასახლებაში რამდენიმე ფერმერი სასურველ მეურნეობას მოაწყობს.



**- იურიდიულ საკითხთა კომისიის პრეროგატივაა, რომ ხიჭაურის დასახლებას სოფლის ან დაბის სტატუსი მიენიჭოს...**

- ხიჭაურის დასახლება აჭარის მთიანეთში მართლაც რომ გამორჩეულია. ამ ტერიტორიის 7,1 ჰექტარი საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია, სადაც ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლა, ახლად აშენებული ეკლესია და შესაბამისი შენობა-ნაგებობებია განთავსებული, დანარჩენ ფართობზე კი ხიჭაურის საჯარო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები, სავაჭრო და სხვა დანიშნულების ობიექტებია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, რამდენიმე ახალი პროექტი შედგა. დასახლებაში 150-მდე ოჯახი ცხოვრობს. აქვეა სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის რეზიდენციაც. დასახლებაზე ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალი გადის... ყველა მოსამზადებელი სამუშაო დასრულებულია იმისთვის, რომ ხიჭაურს დაბის სტატუსი მიენიჭოს.

**- ჭვანელი ბიზნესმენები თანადგომას არ აკლებენ მშობლიურ კუთხეს, რაც მეტად დასაფასებელია.**

- პანდემიამ პრობლემებთან ერთად ისიც დაგვანახა, თუ როგორი თანადგომა შეუძლიათ იმ ადამიანებს, რომლებიც აქ დაიბადნენ, ეზიარნენ განათლებას და ახლა საკმაო კაპიტალს ფლობენ. ასლან (ლევან) მჟავანაძის, ნუგზარ ჭაღალიძის თანადგომა დიდზე დიდია. მოსახლეობის სახელით მათ მადლობას ვუხდი. სოფელში ადამიანის სიკეთე ყველაზე უკეთ ჩანს. თავის დროზე სოფელ ახალდაბას დიდი ამაგი დასდო სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატმა, პოეტმა შოთა ზოიძემ. 2020 წლის მიწურულს მას ამაგი დაუფასეს თანარაიონელებმა და იგი «საპატიო შუახეველად» აირჩიეს. 2021 წლის მიწურულს იგივე პატივი დადეს ლევან მჟავანაძესაც. მას «საპატიო შუახეველის» დიპლომი საახალწლო კონცერტზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით იყო ორგანიზებული, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ გადასცა. ჩვენს საარჩევნო ოლქში ლევან მჟავანაძე პირველია, ვისაც ეს პატივი ერგო. თანადგომას ვერც აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილ მაჟორიტარს, ბიზნესმენ ხვიჩა შარაშიძეს დავუკარგავთ.



**- ჭვანის თემი ცნობილია თავისი ფოლკლორული ნიმუშებით, მათ შესანარჩუნებლად რას გააკეთებთ?**

- წუთისოფელში აღარ არიან «განდაგანას», «ხორუმის» უბადლო შემსრულებლები ხასან შარაშიძე, მამია, ოთარ ჭაღალიძეები, დავით მჟავანაძე, ალი მახარაძე, ხალხური მთქმელები აქიფ, თოფია ქათამაძეები, იუმორის დიდოსტატები დემურ ქათამაძე და ალიოსმან ჭაღალიძე, მომღერლები ზაბით ჭაღალიძე, ომერ ბეჟანიძე. მათ გზას თაობები აგრძელებენ. იანვრის დასაწყისში დაბადებიდან 70 წლის იუბილე მივულოცეთ შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტს რევაზ მჟავანაძეს. ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «ოთოლთას» ხელმძღვანელი ზაზა ბერიძე. პანდემიამ ცალკეული ანსამბლების, ინდივიდუალური შემსრულებლების სასცენო საქმიანობა ცოტა შეაფერხა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი ჩვეულ რიტმს უბრუნდება. უკვე დადგა დრო, ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, კულტურის სფეროში დასაქმებულების სახელფასო ანაზღაურების გაზრდაზე ვიფიქროთ.

**- ექვსი - სამსაფეხურიანი, ორი - ორსაფეხურიანი და რამდენიმე სკოლა-ფილიალია ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში. მთის სოფლების სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი მცირდება. გამონაკლისი არც ჭვანის თემი იქნება.**

- ჭვანელები ვამაყობთ, რომ სოფელ ოლადაურის შემდეგ, ქართული სკოლა ჭვანაში აღდგა. 1929 წელს ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე პირველი ქოხსამკითხველო ჭვანაში გაიხსნა. სხვათა შორის, «ნაციონალური» ხელისუფლების წლებში ხელაღებით გაუქმებული სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენა სოფელ ჭვანიდან დაიწყო. განათლებისა და კულტურის ობიექტები, აქ დასაქმებული პერსონალი ჩვენს სოფლებს ასულდგმულებენ. მისასალმებელია აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის საქმიანი დამოკიდებულება განათლებისა და კულტურის ობიექტებისადმი. ყველა სოფელში ნორმალურია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თვალსაჩინოება. უახლოეს პერიოდში ალბათ, პრობლემად იქცევა სკოლებში კვალიფიციური პედაგოგების ყოფნა. სერტიფიკატების მიუღებლობის გამო, პედაგოგთა 15-20 პროცენტი სკოლიდან გადის. მეც პროფესიით პედაგოგი ვარ, საქმიანობას ამ მიმართულებით ახლაც ვაგრძელებ. კარგი იქნება, თუ სამინისტროების ხელმძღვანელები ამ პრობლემას გონივრულად მიუდგებიან.

# „ომიკრონი“ – ახალი ვირუსის წინამორბედი თუ პანდემიის დასასრულის მაცნე?

ხატია იაშვილი 27 48 93

*საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მეექვსე ტალღა დაიწყო. სპეციალისტები ახალი შტამი „ომიკრონის“ მასობრივ გავრცელებას იანვრის ბოლოს ელოდებიან.*

*ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ბოტსვანასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ნოემბრის ბოლოს გამოვლენილ ახალ შტამ B.1.1.529-ს, რომელიც „შეშფოთების გამომწვევად“ შეფასდა, ბერძნული ანბანის მე-15 ასობგერის მიხედვით „ომიკრონი“ უწოდა.*



საქართველოში „ომიკრონ“ შტამით ინფიცირების პირველი ორი შემთხვევა გასული წლის 20 დეკემბერს გამოვლინდა. ინფიცირებულებიდან ერთს - აშშ-ში, მეორეს კი დუბაიში მოგზაურობის ისტორია ჰქონდა. შემდეგ ვირუსი დაუდასტურდა მათთან კონტაქტში მყოფ თითქმის ყველა პირს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „ომიკრონით“ კოვიდგადატანილი და ვაქცინირებული პირებიც შეიძლება დაინფიცირდნენ. ამ დროისათვის „ომიკრონი“ მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაშია გამოვლენილი.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ექიმი-ეპიდემიოლოგი **ლევან ანთაძე** „ომიკრონ“ შტამის მახასიათებლებზე დეტალურად საუბრობს „აჭარასთან“ და კონკრეტულ სიმპტომებსაც ასახელებს. მისი თქმით, აღნიშნულ შტამს ხუთი ძირითადი სიმპტომი ახასიათებს: ცხვირიდან გამონადენი, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, ცემინება და ყელის ტკივილი. „ომიკრონმა“ ასევე დამატებით შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა, ღამით ოფლიანობა და წელის ტკივილი, ეს სიმპტომები კორონავირუსის წინამორბედ შტამებს ნაკლებად ახასიათებდა.

**- ბატონო ლევან, რა ინფორმაცია გაქვთ „ომიკრონზე“?**

- ახლა ხდება დელტა-შტამის ჩანაცვლება ე.წ. „ომიკრონის“ შტამით, რომლის გავრცელებამაც მსოფლიოში მნიშვნელოვნად იმატა. გამართლდა ექსპერტების ნათქვამი, რომ ამ შტამს წინამორბედზე გაცილებით სწრაფი გადადება ახასიათებს - საქართველოში თვალდათვალ მატულობს დაავადების შემთხვევები. მსოფლიო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მოსალოდნელია არსებული მონაცემების უცებ გაათმაგება.

**- თქვენ უკვე ჩამოთვალეთ სიმპტომები, კიდევ რას დაამატებდით?**

- ახალ შტამს ნაკლებად ახასიათებს ქვედა სასუნთქი გზების დაზიანება და შესაბამისად, სუნთქვის გაძნელება. ეს კი პირდაპირ კავშირშია პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის დაბალ მაჩვენებელთან, ანუ „ომიკრონ“ შტამის შემთხვევაში ჰოსპიტალიზაცია შემცირებულია 70 პროცენტით, თუმცა, ვინაიდან ინფიცირებულთა საერთო რაოდენობა ჩვეულებრივზე მაღალია, ჰოსპიტალიზაციის საჭიროების მქონეთა აბსოლუტური რიცხვიც იზრდება. სწორედ ამიტომ, საწოლების მაქსიმალური მზადყოფნა მაინც აუცილებელია.

**- ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ახალი შტამი მოგვევლინა როგორც სინათლე გვირაბის ბოლოს. ისინი არ გამორიცხავენ, რომ ამით ბუნებრივად დასრულდება მსოფლიო პანდემია. თუ შეიძლება აგვიხსნათ, რა აქვთ მხედველობაში?**

- ამის პროგნოზირება რთულია, თუმცა შანსი მაინც არსებობს, თანაც საკმაოდ მაღალი, რადგან ეს შტამი მოსახლეობის დიდ ფენას მოიცავს, ასე ვთქვათ, ერთდროულად დაგვიავადდება ბევრი მოქალაქე, რომელთა უმეტესობა ვირუსს იოლად გადაიტანს, გამოიმუშავებს ანტისხეულებს და გადადების ჯაჭვი შეწყდება.

**- თუ ასეთი შანსი არსებობს, რა საჭიროა ვაქცინაცია?**

- არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძალიან დიდია რისკები, არც ისაა გამორიცხული, რადგან დიდი რაოდენობის ადამიანებს მოიცავს, ამ შტამმაც განიცადოს მუტაცია და საბოლოოდ, არათუ სხვა შტამი, სრულიად განსხვავებული ვირუსი მივიღოთ.

**- „დელტაკრონზეც“ საუბრობენ, ინდური შტამის და „ომიკრონის“ ნაერთზე.**

- არც ესაა გამორიცხული. სამწუხაროდ, სპეციალისტები ვერ ახერხებენ საბოლოოდ ჩამოყალიბებას, ისეთი სისწრაფით ხდება კორონას სახეცვლილება. მეც ინტერნეტით ვიღებ ინფორმაციას და რთულია ამ თემაზე წინასწარი მონაცემების გარეშე საუბარი. რისკი რომ ნამდვილად არსებობს, ეს უკვე ყველასთვის ნათელია, განსაკუთრებით, ეპიდემიოლოგებისთვის. სავარაუდოდ, „დელტაკრონი“ „დელტასგან“ „ომიკრონისკენ“ გარდამავალი შუალედური შტამი იქნებოდა, რომელსაც ნაკლებად შეიძლება მივანიჭოთ დომინანტის როლი. ამ ეტაპზე ჩამოყალიბებულია მხოლოდ „ომიკრონი“ და უნდა ვებრძოლოთ მას ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით.

**- არ გამორიცხავენ, რომ ქვეყანაში არსებული კოვიდრეგულაციები ისევ გამკაცრდება.**

- პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემა უნდა იყოს მზად „ომიკრონით“ დავირუსებულთა მისაღებად. როგორც ვთქვით, ძალიან სწრაფად მოხდება მისი გავრცელება, შესაბამისად, მზად უნდა იყოს საავადმყოფოები. აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერება, ეს პროცესი უკვე უნდა მიმდინარეობდეს.

**- პირველად ჯანდაცვას ამ შემთხვევაში რა როლი დაეკისრება?**

- როგორც ვიცით, „ომიკრონი“ შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და არ უნდა გადავტვირთოთ ჰოსპიტალური სექტორი. სწორედ პირველადი ჯანდაცვის აქტიური ჩართულობაა აუცილებელი, რათა გაიფილტროს დავირუსებული მოქალაქეები და მხოლოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფები მოათავსონ საავადმყოფოებში. რადგან გავრცელებაა სწრაფი, მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მოვერიოთ ვირუსის რაოდენობრივ შემოტევას. რაც შეეხება შეზღუდვებს, ეპიდემიოლოგიურად შესაძლოა, ეს გამართლებული იყოს, მაგრამ „ლოქდაუნები“ თუ დაუშვეს ისევ, მაშინ, ვფქირობ, ძალიან გაუჭირდება ქვეყანას. დამძიმებულია სოციალური ფონი, იმატა უმუშევრობამ, ხოლო პანდემიიდან გამომდინარე, მკვეთრადაა გაუარესებული ეკონომიკა.

**- ქვეყნის ჰოსპიტალური სექტორი რამდენად არის მზად დიდი რაოდენობის პაციენტების მისაღებად?**

- ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად არის ამ შემთხვევებისთვის სექტორი მზად, რადგან სისტემა ისედაც გადატვირთულია. ამირან გამყრელიძის პროგნოზით, 60 ათასი შემთხვევა იქნება დღეში, რასაც, ვეჭვობ, ვერ მოერევა არსებული კლინიკები. სწორედ ამიტომ ვუსვამ ხაზს პირველადი ჯანდაცვის როლის წინ წამოწევას, მის გაძლიერებას, რომ მოხდეს პაციენტების ბინაზე მართვა, რაც რთული არ იქნება „ომიკრონის“ შემთხვევაში. „დელტა“ შტამის დროს, ძირითადად, ჰოსპიტალიზაცია ხდებოდა, რადგან ვირუსი რთულად მიმდინარეობდა, ახლა კი, როგორც აცხადებენ, გაცილებით იოლ ფორმებთან გვექნება საქმე, უბრალოდ, აუცილებელია ექიმებმა გაცხრილონ შემთხვევები და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გადაიყვანონ პაციენტი საავადმყოფოში. ჰოსპიტალურ სექტორს აქვს გარკვეული ზღვარი, რომლის ზევით ფიზიკურად ვერ გაატარებს და ვერ შეძლებს პაციენტების მკურნალობას. ყველა ქვეყანაში ასეა, ამიტომ ისევ და ისევ, პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერება უკვე უნდა მიმდინარეობდეს, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ.

**- რას მოიცავს ჯანდაცვის პირველადი რგოლი?**

- ოჯახის ექიმები, პოლიკლინიკური გაერთიანებები, ამბულატორიები, საიდანაც უნდა ხდებოდეს დავირუსებული მოქალაქეების მართვა. გაძლიერებაში ვგულისხმობ ონლაინსისტემების გამართულად მუშაობას, ორმხრივი კომუნიკაციების გამარტივებას და სხვ. ეს არის გარკვეული პრაქტიკა, რაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემას აქვს, მაგრამ გასაძლიერებელია. მაგალითად, თუ ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობას ავიღებთ, დავინახავთ, რომ სამწუხაროდ, აქ არ ჩართეს სოფლის ექიმები, ან თუ ჩართეს, მინიმალურად. ამ კუთხით, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ აჭარაში მართლაც უკეთესი სიტუაცია იყო დანარჩენ საქართველოსთან შედარებით. გაცილებით ადრე ჩაერთნენ სოფლის ექიმები ვაქცინაციის პროცესში, შედეგად კი უკეთესი ვითარებაა აცრების რაოდენობის მიხედვით.

**- თუკი „ომიკრონი“ მართლაც იოლ ფორმებში მიმდინარეობს, რატომაა აუცილებელი „ბუსტერ“ დოზა?**

- ეს ჯერ არავინ იცის დანამდვილებით, შეიძლება ოცმა კარგად გადაიტანოს, მაგრამ 21-ეს რთულ ფორმებში დაემართოს. ჯერჯერობით, კაცობრიობას ვირუსთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ არ შემოუთავაზებია სხვა გამოსავალი. ისიც ფაქტია, რომ აცრილისთვის ნაკლებ მოსალოდნელია დავირუსება, ჰოსპიტალიზაცია თუ გარდაცვალება.

**- ამის სტატისტიკა არსებობს?**

- კი, როგორ არა, ჩემს სიტყვებს სტატისტიკაც ადასტურებს. ჰოსპიტალიზებულთა და გარდაცვლილთა შორის 100-დან 92-98% აუცრელი ადამიანებია. ამიტომ, ვინც უკვე ორჯერადადაა აცრილი, „ბუსტერ“ დოზა უნდა დაიმატონ, ხოლო იმათ, ვინც ანტივაქსერების ზეგავლენის ქვეშ მოექცა, უნდა გადალახონ შიში და აიცრან საკუთარი ჯანმრთელობის და სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თუკი საკუთარ თავს არ უფრთხილდებიან, საზოგადოების უსაფრთხოებისთვის მაინც ჩაიტარონ ვაქცინაცია, გამოიჩინონ ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩენილი ერის მიმართ მოქალაქეობრივი შეგნება და პასუხისმგებლობა.

**- რამდენად ქმედითად მიგაჩნიათ სახელმწიფოს მიერ ანტივაქსერების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, თუნდაც ის 200-ლარიანი დახმარება?**

- აქეთკენ გადადგმულ ყველა სახის წახალისებას მივესალმები, მაგრამ პრობლემა სულ სხვა რამეშია. თვითონ ხელისუფლებაც არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული ვაქცინაციასთან დაკავშირებით, რამაც, ცხადია, ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე.

**- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

- მოსახლეობის მხრიდან, ვაქცინაციის მიმართ გაწეული წინააღმდეგობა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო. ჩვენ ძვირფასი დრო დავკარგეთ უაზრო გარჩევებსა და პოლემიკაში, იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აგვეცრა. გავლენა მოახდინა ხალხზე მინისტრის ანტივაქსერულმა გამოსვლებმაც, რომ ვაქცინაცია მთავარი იარაღი არ არის პანდემიასთან ბრძოლაში და სხვ. გაიხსენეთ თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიაც, როდესაც ჩამოხსნეს ვაქცინაციის აგიტაციისთვის განკუთვნილი ბილბორდები და მათ ნაცვლად სისხლიანი ბილბორდები დაკიდეს. ზედმეტი ხმების მისაღებად ანტივაქსერებისთვის ანგარიშის გაწევამ, დათმობამ და კოჭის გორებამაც გამოიღო თავისი ნეგატიური შედეგი. პროცენტული მაჩვენებლებით, მივედით იქამდე, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველები ვართ მოსახლეობის სიკვდილიანობის მხრივ.

**- როგორ შეაფასებთ ჯანდაცვის მინისტრის გადადგომას?**

- რა გითხრათ, ფაქტია, რომ ტიკარაძეს კომპეტენციის პრობლემაც ჰქონდა და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებისაც. წინააღმდეგობებშიც ვარდებოდა როგორც საზოგადოებასთან, ისე პრემიერთანაც. ამიტომ მიმაჩნია, ადრე რომ გადამდგარიყო და პოსტი უფრო კომპეტენტური პირისთვის ჩაებარებინა, შესაძლოა, ამხელა სიკვდილიანობა არ გვქონოდა საქართველოში.

**- რა სახელდება სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად?**

- სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად მაინც ვაქცინაციის ჩავარდნა სახელდება - 126-ე ქვეყანა ვიყავით მსოფლიოში. როდესაც დავიწყეთ აცრები, იმდენად მდორედ მიმდინარეობდა, რომ პროცესი ვერაფრით დაეწია სამინისტროს მიერ შედგენილ ეროვნულ გეგმას, რომლის მიხედვითაც დღეში 20 ათასი ადამიანი უნდა აცრილიყო. რაღაც ეტაპამდე, ამ რაოდენობის 2-3% იცრებოდა მხოლოდ. როდესაც პანდემიამ იმძლავრა და გაიზარდა გარდაცვლილთა რიცხვი, მხოლოდ ამის შემდეგ იმატა აცრების რაოდენობამ. ანუ მთელი ეს პროცესი სტიქიურად მიმდინარეობდა, რაც დაუშვებელი იყო ჩვენს პირობებში. გეგმის მიხედვით რომ წარმართულიყო ვაქცინაცია, დღეს სულ სხვა სურათი გვექნებოდა და ქვეყანა არ დარჩებოდა უზარმაზარი საფრთხის პირისპირ, თუნდაც „ომიკრონის“ ახალ შტამთან მიმართებაში. მივმართავ მოსახლეობას, პირველ რიგში, დავიცვათ პირადი ჰიგიენა, ვატაროთ პირბადე, ჩავიტაროთ ვაქცინაცია და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რათა უფრო მსუბუქად გადავიტანოთ პანდემია.

> *„მოსახლეობის მხრიდან, ვაქცინაციის მიმართ გაწეული წინააღმდეგობა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო. ჩვენ ძვირფასი დრო დავკარგეთ უაზრო გარჩევებსა და პოლემიკაში, იმის ნაცვლად, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აგვეცრა. გავლენა მოახდინა ხალხზე მინისტრის ანტივაქსერულმა გამოსვლებმაც, რომ ვაქცინაცია მთავარი იარაღი არ არის პანდემიასთან ბრძოლაში და სხვ. გაიხსენეთ თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიაც, როდესაც ჩამოხსნეს ვაქცინაციის აგიტაციისთვის განკუთვნილი ბილბორდები და მათ ნაცვლად სისხლიანი ბილბორდები დაკიდეს. ზედმეტი ხმების მისაღებად ანტივაქსერებისთვის ანგარიშის გაწევამ, დათმობამ და კოჭის გორებამაც გამოიღო თავისი ნეგატიური შედეგი...*

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 14/01/22, 20 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# საქართველოში ჯანდაცვის თანამედროვე სისტემის ფორმირების სათავეებთან

*ცნობილმა საზოგადო, სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, მედიცინის დოქტორმა ავთანდილ ჯორბენაძემ ქვეყანას საუკეთესო საახალწლო საჩუქარი უძღვნა - გამოსცა შესანიშნავი მონოგრაფია - „როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა“. როგორც ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის სათაურიდანვე ჩანს, ავტორი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის პოსტსაბჭოთა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებაში ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრობის დროს, თავად მოგვითხრობს, როგორ მოიმოქმედა ეს, ანუ ამ სისტემის გარდამქმნელი რეფორმების შესახებ. ცნობილია ჯაბა ხუბუას გამონათქვამი მის შესახებ: „ავთანდილ ჯორბენაძემ ფერფლიდან აღადგინა საქართველოს ჯანდაცვის სისტემა“. დღეს ამ საინტერესო ნაშრომის შესახებ ჩვენს შეკითხვებს აღიარებული ქირურგი, პროფესორი* ***აკაკი ბერიძე*** *უპასუხებს, რომელიც ავთანდილ ჯორბენაძის მინისტრობის პერიოდში აჭარის ჯანდაცვის მინისტრი გახლდათ და უშუალოდ მონაწილეობდა რეფორმების პროცესში.*

**- ახლახან გამოვიდა საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის წიგნი ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმების შესახებ. როგორ შეფასებას მისცემდით, ვისთვის იქნება საჭირო ეს წიგნი?**

- წიგნი საინტერესო და სასარგებლო იქნება, პირველ რიგში, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული მრავალათასიანი პერსონალის, აგრეთვე ხელისუფლების და ქვეყნის მთელი მოსახლეობისთვის, ვინაიდან სამედიცინო სამსახური ადამიანს მთელი სიცოცხლე ესაჭიროება. ჩემი ხანგრძლივი საექიმო მოღვაწეო-




ბა საფუძველს მაძლევს, ხატოვნად ვთქვა: „ადამიანის სიცოცხლე ფილმია, რომლის პირველ და ბოლო კადრსაც ექიმი იღებს“. ნაშრომი ორიგინალურად არის შედგენილი, ფაქტობრივად, დოკუმენტური მასალების კრებულია - ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოხსენებები, მინისტრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები, რომლებიც სხვადასხვა ინსტანციაში ჰქონდა წარდგენილი, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულებები და განკარგულებები, პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები, სხვადასხვა ნორმატიული აქტი. დოკუმენტაცია წიგნში კომპაქტურად არის წარმოდგენილი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ადვილი მისაკვლევია და დიდ სამსახურს გაუწევს ჯანდაცვის მენეჯმენტის სფეროს მუშაკებს.

**- უკეთ რომ გავიაზროთ, მაინც რა სახის ცვლილებები იყო აუცილებელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში, მოდით, მოკლედ შევეხოთ, რა მდგომარეობა იყო ქვეყანაში სსრკ-ის დაშლის შემდეგ?**

- სსრკ-ის დაშლის შემდეგ სამოქალაქო ომის, ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული უთანასწორო ბრძოლების და სხვა მრავალი ფაქტორის გავლენით გაჩანაგებულ საქართველოში ყველაზე მეტად მაინც ჯანდაცვის სისტემა დაზარალდა. ინფექციურ დაავადებათა პრევენციის ცენტრალური სისტემის რღვევის შედეგად მოიშალა პროფილაქტიკური აცრების აწყობილი სამსახური, მოსახლეობაში მკვეთრად დაქვეითდა ინფექციის საწინააღმდეგო იმუნიტეტი, ამას დაემატა უკიდურესი სიღარიბე, საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად მოსახლეო-



ბის მასობრივი მიგრაცია სხვა ქვეყნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა აჭარაში სარფის კარის გახსნის შემდეგ. საბაჟოს გამშვები პუნქტი ვერ აუდიოდა მიგრანტთა მოზღვავებული მასის მომსახურებას, შეიქმნა უზარმაზარი რიგები, გაჩნდა მიგრანტთა მასობრივი თავშეყრის ადგილები, შეიქმნა ინფექციის გავრცელების ხელშემწყობი პირობები, ქვეყანას კი არ გააჩნდა ასაცრელი მასალა, სადეზინფექციო საშუალებები, მედიკამენტები. დიფტერიის ეპიდემიამ ერთ წელიწადში 600-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გახშირდა ბოტულიზმის, სალმონელას, გრიპის ეპიდაფეთქებები. თავი შეგვახსენა მალარიამ. ამ ძნელბედობის ჟამს განგებამ ქვეყანას მხსნელად მოუვლინა ლიდერის გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული, ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის გამოცდილების მქონე პიროვნება ავთანდილ ჯორბენაძე, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად 1993 წლის ოქტომბერში დაინიშნა.



დიახ, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა, შეუძლებელი შეძლო, უმოკლეს დროში აღადგინა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ჯანდაცვის სისტემა.

**- საკანონმდებლო ბაზის გარეშე ცვლილებები წარმოუდგენელია, რა როლი შეასრულა ჯანდაცვის მინისტრმა ჯანდაცვის კანონმდებლობის შექმნაში?**

- იცით, მონოგრაფია იმითიცაა საინტერესო, რომ ავტორი თავადაა მასში მოთხრობილი მასშტაბური გარდაქმნების შემოქმედი. ნაშრომში სტრიქონებს შორის იკითხება თავად ავთანდილ ჯორბენაძის ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი. დასახული მიზნის მისაღწევად მან ერთ გუნდად შეკრა რეფორმების მხარდამჭერ სპეციალისტთა რაზმი, რომლებმაც ტიტანური შრომა გასწიეს დარგისათვის საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად. თავად ვარ მოწმე, რომ იმ პერიოდში საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კაბინეტების უმრავლესობაში თვეების განმავლობაში ინტენსიური მუშაობა ღამის საათებშიც მიმდინარეობდა. ასე იყო რეგიონებშიც. მინისტრი დილით რომ ჩაატარებდა თათბირს, დავალებებს მისცემდა თანამშრომლებს, შემდეგ კოდორის ხეობაში ჩაფრინდებოდა, ადგილზე გაეცნობოდა და დაარეგულირებდა სიტუაციას, საღამოს კი განაგრძობდა თათბირს სამინისტროში და დილამდე ჩვენთან ერთად მუშაობდა. ყველაფერი ეს კეთდებოდა ენთუზიაზმით, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ავტორი ყველას მადლობას უხდის გაწეული ტიტანური შრომისათვის, არავინ გამორჩენია. საგულისხმოა, რომ საქართველოში ახალი სახელმწიფოს მშენებლობა ჯანდაცვის სისტემის რეფორმით დაიწყო, მაგალითი მისცა სხვა დარგებს, რეფორმების ლოკომოტივის როლი შეასრულა.

**- კონკრეტულად, რას გვეტყვით რეფორმების გზაზე პირველი ნაბიჯების შესახებ?**

- საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში გატარებული რადიკალური რეფორმები ბევრად უსწრებდა წინ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების რეფორმებს. სამაგალითო იყო ახალი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის მართვის ახალი სტრუქტურების შექმნა: მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემსწავლელი სტატისტიკური სამსახური; სამედიცინო სამსახურების ხარისხის კონტროლი, ჯანმრთელობის დაზღვევა, სანიტარიული ნორმირება და ზედამხედველობა, წამლის ხარისხის კონტროლი, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლი, ახალი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვა, შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის ჩამოყალიბება. ახალ ეკონომიკურ სისტემაში ადაპტირებისთვის შეიცვალა ჯანდაცვის მართვის არსებული წესები: განხორციელდა მმართველობის დეცენტრალიზაცია, შეიქმნა ჯანდაცვის მართვის რეგიონული და მუნიციპალური სამსახურები; ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა; საოჯახო მედიცინის პრინციპებზე გადავიდა პირველადი ჯანდაცვა; სამედიცინო დაწესებულებები მუხლობრივ-ბიუჯეტური კაბალური დაფინანსებისგან განთავისუფლდა და დამოუკიდებელ სამართალ-სუბიექტებად ჩამოყალიბდა; მოხდა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირება, პერსონალის სერტიფიცირება; დამოუკიდებელ პროფესიად ჩამოყალიბდა საექთნო საქმე; სამედიცინო მეცნიერების დაფინანსება შეიცვალა გრანტული დაფინანსების პრინციპით; განხორციელდა საავთიაქო ქსელისა და სტომატოლოგიური დაწესებულებების სრული განკერძოება. პრაქტიკულ მედიცინაში დაინერგა დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური მეთოდები: ინტერვენციული კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, ენდოვიდეო და ენდოვასკულარული ქირურგია, ონკოჰემატოლოგია, ორგანოთა ტრანსპლანტაცია. ცხადია, საგაზეთო წერილში ახალი სახელმწიფოს მშენებლობისთვის გატარებული რეფორმების მარტივი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია, შემოვიფარგლებით რამდენიმე მომენტის აღნიშვნით. ჯანდაცვის სისტემის რეფორმების მოდული იქმნებოდა კოლექტიურად, გამოყენებული იყო ქვეყნის შიდა ინტელექტუალური პოტენციალი, უანგაროდ გვეხმარებოდნენ აგრეთვე მეგობარი ქვეყნების გამოცდილი სპეციალისტები. ამ საკითხშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა მინისტრის კოლეგებთან და ზოგადად, ადამიანებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი, განსაკუთრებული პიროვნული ხიბლი. ახალი საკანონმდებლო-სამართლებრივი ბაზის შექმნის რთული შემოქმედებითი პროცესის პარალელურად არ შეწყვეტილა დაავადებათა მონიტორინგის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა. ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიების ლიკვიდაციაში დიდ დახმარებას გვიწევდა ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგალითად, აჭარაში დიფტერიის ეპიდემიის ლიკვიდაცია მოკლე დროში მოხერხდა - ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა უსასყიდლოდ გამოგვიგზავნა ასაცრელი მასალა, აცრები მიმდინარეობდა „იუნისეფის“ მიერ მოვლინებული სპეციალისტის, ფილოსოფიისა და მედიცინის დოქტორის დინ ეკენბერგის კონსულტაციითა და მეთვალყურეობით.

**- რა პრობლემები იყო აჭარის ჯანდაცვის სისტემაში?**

- აჭარის ხელისუფლებამ, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის განკარგულებით შექმნა დიფტერიის ეპიდემიის სალიკვიდაციო კომისია, რომლის ხელმძღვანელობაც თვითონ ითავა. შეიქმნა ამცრელი ბრიგადები, რომლის ყველა წევრს დაენიშნა ხუთმაგი ხელფასი. რაიონებში ამ ბრიგადებს გამოეყოთ ავტომანქანები სოფლებში გადაადგილებისთვის, გამოეყოთ სათანადო თანხაც აცრისთვის საჭირო მასალის შესაძენად. უმოკლეს დროში მოხერხდა აჭარის მოსახლეობის სამჯერადი აცრა, შესაბამისად დიფტერიის ეპიდემია დასრულდა. საბჭოთა სისტემიდან მემკვიდრეობით მივიღეთ სამედიცინო დაწესებულებათა და მედიცინის მუშაკთა ჭარბი რაოდენობა, რაც ჯანდაცვის სისტემის გამართულად მუშაობას ხელს უშლიდა. სამინისტრომ დააწესა ამ საკითხის მონიტორინგი, სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება და პრივატიზაცია, მედიცინის მუშაკთა სერტიფიცირება, რამაც დაარეგულირა ამ სფეროში შექმნილი ქაოსი. ამრიგად, ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი ჯანდაცვის სფეროში წარმატებით განხორციელდა. რეფორმების უმრავლესობა ხანგრძლივი დროზე იყო გათვლილი, თუმცა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად შესაძლებელია მასში ცვლილებების შეტანა. ეს ცვლილებები შეიძლება დროებითიც იყოს სიტუაციიდან გამოდინარე.

**- როგორ ხორციელდება პრაქტიკაში მაშინ მიღებული კანონები?**

- ამ დარგში კანონები პერიოდულ განახლებასაც მოითხოვს, მაგრამ საჭიროა თანმიმდევრულობის, მემკვიდრეობითობის, უწყვეტობის პრინციპების დაცვა. სამწუხაროდ, ეს მოთხოვნები ზოგჯერ არ სრულდება. ზემოთ მოგახსენეთ, რომ სამედიცინო დაწესებულების და სამედიცინო პერსონალის სიჭარბე ხელს უშლის ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებას, მაგალითად, თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში წინა ხელისუფლების პერიოდში სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა გაორმაგდა, შესაბამისად გაიზარდა მათში მომუშავე პერსონალის რაოდენობაც. აღნიშნული პროცესი ხელს უშლის სამკურნალო ღონისძიებათა ჩატარებას, განყოფილებაში პაციენტთა სიმცირეა, არარენტაბელურია მორიგე ბრიგადის დანიშვნა, რითიც პაციენტს აკლდება ყურადღება, სტუდენტები და ახალგაზრდა ექიმები არ იღებენ სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებას და სხვ. სამწუხაროდ, ახალი სამედიცინო დაწესებულებები დაუსაბუთებლად, სათანადო გათვლების გარეშე ამჟამადაც იხსნება. არსებობს გათვლები დაავადებათა სიხშირისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, 100 000 მცხოვრებზე მწვავე აპენდიციტის მქონე რამდენი პაციენტი შეიძლება იყოს? იგივეა სხვა ნოზოლოგიების მიხედვით. არსებობს სხვა სტანდარტებიც, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გამოვთვალოთ, რამდენი საწოლია საჭირო, მაგალითად, გინეკოლოგიური, ქირურგიული ან უროლოგიური პროფილის პაციენტებისთვის, ამის მიხედვით დასაშვებია ტენდერის გამოცხადება სათანადო სტაციონარის ასაგებად, სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა და სხვ. საქართველოს პარლამენტმა მნიშვნელოვანი კანონი მიიღო (როდის?) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში, ხაზგასმულია, რომ მოქალაქეს უფლება აქვს, სამკურნალოდ აირჩიოს სამედიცინო დაწესებულება და მკურნალი ექიმი, იკრძალება სამსახურის მონოპოლიზაცია, როგორც სამედიცინო, ისე ფარმაციის დარგში. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ დაიწყო და ახლანდელი ხელისუფლების დროსაც გრძელდება ამ ძირითადი კანონის მოთხოვნათა იგნორირება, მაგალითად, კომპანია „ევექსმა“ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის სამედიცინო მომსახურება ჩაიგდო ხელში. აჭარაში „ევექსს“ ყველა რაიონში გახსნილი აქვს საავადმყოფო-პოლიკლინიკები, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურები, მორიგე სასწრაფო მანქანებს მხოლოდ „ევექსის“ ქსელის სამედიცინო დაწესებულებაში გადაჰყავს პაციენტი, ავადმყოფისა და მისი პატრონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. ფარმაცევტულ კომპანიებს აქვს მონოპოლია წამლის იმპორტსა და რეალიზაციაზე, რის შედეგადაც მედიკამენტები ძალზე ძვირად იყიდება.

ზემოხსენებული დარღვევების პარალელურად ამჟამინდელ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს სამედიცინო პროგრამების დაფინანსებაში, განსაკუთრებით სოლიდური და დროულია სასწრაფო შემთხვევების პროგრამული დაფინანსება. მოსახლეობა და სამედიცინო პერსონალი კმაყოფილია აგრეთვე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების დაფინანსებით. შთამბეჭდავია აჭარის ექიმთა საზოგადოების დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ავტორს წიგნში აქვს შეტანილი. როგორც საზეიმო ღონისძიებას შეეფერება, მინისტრმა მილოცვასთან ერთად ვრცლად ილაპარაკა აჭარის ექიმთა საზოგადოების როლზე რეგიონის სამედიცინო სამსახურის თანამედროვე დონეზე აყვანაში, ხაზი გაუსვა აჭარის მედიკოსთა დამსახურებას ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმების შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვის კუთხით, ისაუბრა რეფორმების მომდევნო ეტაპისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ბატონი ავთანდილის წარდგინებით, აჭარის სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე15 ექიმი დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით. იგი გვპირდება, რომ მალე გამოსცემს წიგნის მეორე ნაწილს, ცხადია, ისიც ისეთივე საინტერესო იქნება, როგორც პირველი.

**ესაუბრა**
**მარინა მითაიშვილი**